

ქართული ოცნების მმართველობის 100 დღე: რეალობის უმეფასება

კორნელი კაკაჩია
ბიძინა ლებანიძე
ჯოზეფ ლარსენი
მარიამ გრიგალაშვილი



ანგარიში 2017

კორნელი კაკაჩია
ბიძინა ლებანიძე
ჯოზეფ ლარსენი
მარიამ გრიგალაშვილი

ქართული ოცნების
მმართველობის 100 დღე:
რეალობის შეფასება



ანგარიში 2017



**National Endowment
for Democracy**

Supporting freedom around the world



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია, რომელიც 2011 წლის დასაწყისში დაარსდა. GIP ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით. ორგანიზაცია ასევე ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობისა და დემოკრატიული პროცესების განვითარებაში სახალხო ჩართულობას. 2013 წლის დეკემბრიდან საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი არის ეუთოს აკადემიური ინსტიტუტებისა და ანალიტიკური ორგანიზაციების ქსელის წევრი.

ამ პუბლიკაციის გამოცემა შესაძლებელი გახდა ნაციონალური ფონდი დემოკრატიისთვის (NED) მხარდაჭერით. აქ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს ნაციონალური ფონდი დემოკრატიისთვის შეხედულებებს.

© Georgian Institute of Politics, 2017

Tel: +995 599 99 02 12

Email: info@gip.ge

www.gip.ge

სარჩმში

ავტორები.....	4
აბრევიატურები.....	5
კვლევის მიზანი.....	6
მეთოდოლოგია.....	6
რეზიუმე.....	7
ძირითადი მიგნებების შეჯამება.....	8
შესავალი.....	10
ეკონომიკური პოლიტიკა.....	11
საარჩევნო პროგრამა.....	11
ანალიზი.....	11
შეფასება.....	13
პირველი 100 დღე.....	14
ანალიზი.....	14
შეფასება.....	20
სოციალური პოლიტიკა.....	21
საარჩევნო პროგრამა.....	21
ანალიზი.....	21
შეფასება.....	22
პირველი 100 დღე.....	23
ანალიზი.....	23
შეფასება.....	25
საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა.....	26
საარჩევნო პროგრამა.....	26
ანალიზი.....	26
შეფასება.....	28
პირველი 100 დღე.....	29
ანალიზი.....	29
შეფასება.....	32
დემოკრატია და ადამიანის უფლებები.....	33
საარჩევნო პროგრამა.....	33
ანალიზი.....	33
შეფასება.....	34
პირველი 100 დღე.....	35
ანალიზი.....	35
შეფასება.....	37
ქართული ოცნების“ სამთავრობო გამოწვევები კონსტიტუციური უმრავლესობა: საფრთხე თუ შესაძლებლობა?.....	38
დასკვნა.....	40
ბიბლიოგრაფია.....	42

ავტორები¹

კორნელი კაკაჩია არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერებების მიმართულების პროფესორი და საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორი. იგი სხვადასხვა წლებში იყო საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოსა (IREX) და ღია საზოგადოების ინსტიტუტის (OSI) სტიპენდიანტი და მიწვეული მკვლევარი ჰარვარდის უნივერსიტეტის ჯონ კენედის სახელობის სახელმწიფო მმართველობის სკოლაში (2009-2010), კოლუმბიის უნივერსიტეტის ჰარიმანის ინსტიტუტსა (2011) და ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის უმაღლეს საერთაშორისო სწავლებათა სკოლაში.

ბიძინა ლებანიძე არის ფრაიბურგის უნივერსიტეტის ასოცირებული მკვლევარი და ლექტორი და საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი. მას მიღებული აქვს დოქტორის ხარისხი პოლიტიკურ მეცნიერებებში, ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში და მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო ურთიერთობებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ფრაიბურგის უნივერსიტეტთან დაკავშირებამდე იგი მკვლევრად მუშაობდა ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში და კითხულობდა ლექციებს ბერლინის ეკონომიკისა და სამართლის სკოლაში.

ჯოზეფ ლარსენი საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის ანალიტიკოსია. იგი არის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების მაგისტრატურის კურსდამთავრებული. ლარსენი მუშაობდა მკვლევარად და ჟურნალისტად სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტში მუშაობის დაწყებამდე ჯოსეფი ასევე მუშაობდა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის საერთაშორისო სტაჟირების პროგრამის ფარგლებში.

მარიამ გრიგალაშვილი საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის მკვლევარია. იგი არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორანტი. მარიამი ფლობს ვილნიუსის უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერებების მაგისტრის ხარისხს აღმოსავლეთ ევროპისა და რუსეთის კვლევების მიმართულებით. მისი კვლევის ინტერესების სფერო მოიცავს აღმოსავლეთ პარტნიორობას, ევროკავშირი-რუსეთის ურთიერთობებს და საქართველოს საგარეო პოლიტიკასა და პარტიულ პოლიტიკას.

¹ ავტორები მადლობას უხდებიან ჰანს გუტბროდს, პროფესორ მელანი სალის, თორნიკე ზურაბაშვილს, ლევან ნატროშვილს და ლევან ცუცქერიძეს სასარგებლო კომენტარებისათვის. ასევე განსაკუთრებულ მადლობას უხდებიან პოლიტიკის ინსტიტუტის სტაჟირებს, თინათინ ვახანიას და მარიამ აფრიაშვილს, პროექტის ფარგლებში განეული დახმარებისთვის.

აბრევიატურები

CEC	– ცენტრალური საარჩევნო კომისია
CIB	– [ევროკავშირის] ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროგრამა
CRRC	– კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი
DCFTA	– ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება
EBRD	– ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
EIB	– ევროპის საინვესტიციო ბანკი
ENPARD	– ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის
EU	– ევროკავშირი
EUR	– ევრო
GD	– ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო
GDS	– ქართული ოცნების სტუდია
GEL	– ქართული ლარი
HPP	– ჰიდროელექტროსადგური
IDP	– იძულებით გადაადგილებული პირი
NATO	– ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია
NBG	– საქართველოს ეროვნული ბანკი
PACE	– ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა
PES	– ევროპელი სოციალისტების პარტია
SIGMA	– მართვისა და მმართველობის განვითარების მხარდაჭერის პროგრამა
SME	– მცირე და საშუალო საწარმოები
TAIEX	– ინფორმაციული გაცვლისა და ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამა
UNM	– ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
US	– ამერიკის შეერთებული შტატები
USD	– აშშ დოლარი

კვლევის მიზანი

მოცემული კვლევის სამიზნე ჯგუფია ფართო აუდიტორია, მათ შორის, პოლიტიკოსები და პოლიტიკური პარტიები, სამთავრობო სტრუქტურები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, კვლევითი, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, საერთაშორისო და შიდა დამკვირვებლები და ექსპერტები; ისევე, როგორც საზოგადოების ფართო წრეები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან პარტიული პოლიტიკისა და მმართველობის საკითხებით. კვლევის მიზანია ქართული საზოგადოების და საერთაშორისო თანამეგობრობის უკეთ ინფორმირება ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და დემოკრატიული პროცესების შესახებ. იგი მიზნად ისახავს, უკეთ გააცნოს საერთაშორისო საზოგადოებას საქართველოში მიმდინარე რეფორმების პროცესი და ბიძგი მისცეს ევროპელი ექსპერტების

მეტ ჩართულობას ამ პროცესში. ანგარიშის გრძელვადიან მიზანს წარმოადგენს, ქართველ პოლიტიკოსთა ანგარიშვალდებულების გაძლიერება, განსაკუთრებით საარჩევნო პროგრამების შექმნისა და მათი განხორციელების პროცესში. ანგარიში ასევე ხელს შეუწყობს საქართველოს ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის მეტ კომუნიკაციას და სამოქალაქო საზოგადოების მეტ ჩართულობას მნიშვნელოვანი რეფორმების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესებში. ამ თვალსაზრისით, ჩვენი ანგარიშის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, იყოს ერთგვარი პლატფორმა, რომელიც დაეხმარება სამოქალაქო საზოგადოების და ექსპერტთა წრეების წარმომადგენლებს საქართველოს ხელისუფლებისადმი მიმართული რეკომენდაციებისა და რჩევების შემუშავების პროცესში.

მეთოდოლოგია

წარმოდგენილი ანგარიში ქართველი და საერთაშორისო მკვლევარების მჭიდრო თანამშრომლობის შედეგია. წერის პროცესში გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდოლოგიური ნაბიჯები: კონცეფციის განვითარება, პირველადი და მეორადი მონაცემების შეგროვება, შეფასება და კატეგორიზაცია, შედეგების ტრიანგულაცია ქართველ და უცხოელ ექსპერტებთან პირადი ინტერვიუების საშუალებით და შედეგების ანალიზი.

ანგარიში ემყარება კვლევას, რომელიც განხორციელდა პირველადი და მეორადი წყაროების გამოყენებით. პირველადი წყაროები მოიცავს საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტს, „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამა-

სა და აშშ-ს, ევროკავშირისა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის, მათ შორის, მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო გამჭვირვალობის და „ფრიდომ ჰაუსის“ მიერ გამოქვეყნებულ კვლევით ანგარიშებს. ასევე, წარმოდგენილი ანგარიშის ავტორებმა პირისპირ ინტერვიუები ჩაატარეს თბილისში მყოფ პოლიტიკის ექსპერტებთან. მეორადი წყაროები მოიცავს ქართული და უცხოური მედია საშუალებების ახალ ამბებს, რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებულ აკადემიურ ნაშრომებს, კვლევითი ორგანიზაციების, კვლევითი კონსორციუმების და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოცემულ წიგნებს, კვლევით ანგარიშებსა და პოლიტიკის დოკუმენტებს.

რეზიუმე

საქართველოს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებმა შედარებით წყნარ და მშვიდობიან ვითარებაში ჩაიარა. თუმცა, არჩევნების შედეგებმა ქვეყანა გაურკვეველი მომავლის პირისპირ დატოვა. „ქართული ოცნების“ მმართველმა კოალიციამ საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა, რომელიც მმართველ პარტიას შესაძლებლობას აძლევს, დიდი წინააღმდეგობის გარეშე შეცვალოს ქვეყნის კონსტიტუციური სისტემა. არსებული სიტუაცია გამოცდაა არა მხოლოდ ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის, არამედ თავად „ქართული ოცნებისთვისაც“, რომელმაც პირველად მოიპოვა მსგავსი ძალაუფლება. მეტიც, არჩევნებმა არა მარტო „ქართული ოცნების“ სიძლიერე ასახა, არამედ ოპოზიციის სისუსტეც გამოავლინა, რომელმაც საპარლამენტო ადგილების მხოლოდ ერთი-მეხუთედის მოპოვება შეძლო. ახლად დამყარებული დღის წესრიგი „ქართულ ოცნებას“ ანიჭებს აბსოლუტურ მანდატს, წარუძღვეს ქვეყანას საგარეო და საშინაო გამოწვევებით დატვირთულ, ძალიან რთულ პერიოდში, რაც მმართველი პარტიისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

წარმოდგენილ ანგარიშში განხილულია ის ძირითადი რეფორმები, რომლებიც „ქართული ოცნების“ უმრავლესობის მმართვე-

ლობის პირველ ას დღეში განხორციელდა. ანგარიში გვთავაზობს „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამის ანალიზს, მის ძლიერ და სუსტ მხარეებს, და მთავარ გამოწვევებსა და შეუსაბამობებს. გარდა ამისა, ვაანალიზებთ „ქართული ოცნების“ საარჩევნო დაპირებების განხორციელებადობის ხარისხს, სხვადასხვა ექსპერტების შეფასებების საფუძველზე. ანგარიშის ძირითადი ნაწილი ეხება ახალი მთავრობის საქმიანობას პირველი ას დღის განმავლობაში - თუ რამდენად იყო იგი შესაბამისობაში მთავრობის წინასაარჩევნო დაპირებებთან და წინასაარჩევნო პროგრამასთან, და თუ როგორი გავლენა ექნებათ მათ ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაზე. ანგარიში ასევე აანალიზებს ქართული ოცნების საკონსტიტუციო უმრავლესობის საფრთხეებსა და შესაძლებლობებს, ისტორიული, ინსტიტუციური და კულტურული ფაქტორების გათვალისწინებით. კერძოდ, კვლევა მიმოიხილავს ქვეყანაში არსებული დემოკრატიული კონტროლისა და განონასწორების ფორმალურ და არაფორმალურ მექანიზმებს და თუ რამდენად შესწევს ოპოზიციას უნარი, უზრუნველყოს მთავრობის ანგარიშვალდებულება და განაგრძოს ქმედითი საკანონმდებლო საქმიანობა საკონსტიტუციო უმრავლესობის პირობებში.

პირითაღი მიზნუბუბის უქჯაიბუბ

„ქართული ოცნების“ ახალი მთავრობის პირველი 100 დღე განგრძობითობისა და ცვლილების ერთობლიობით ხასიათდებოდა. „ქართული ოცნების“ მთავრობამ მიზნად დაისახა ამბიციური რეფორმების განხორციელება საკუთარი წინასაარჩევნო გეგმის მიხედვით. გარკვეული გაბედული ნაბიჯები ცვლილებებისკენ უკვე შეიმჩნევა საშინაო პოლიტიკის რამდენიმე სფეროში, სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკისა, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების მიმართულებით. თუმცა, თამამი ნაბიჯებისკენ სწრაფვა არ ნიშნავს იმას, რომ „ქართული ოცნების“ დღის წესრიგი უშეცდომო ან უდავოა. ზოგიერთ სფეროში „ქართულმა ოცნებამ“ უკვე იწვინია იმედგაცრუება, წარმატებით განეხორციელებინა თავისი წინასაარჩევნო დაპირებები და გაეტარებინა შესაბამისი პოლიტიკა. ეს ანგარიში წარმოადგენს „ქართული ოცნების“ მმართველობის პირველი 100 დღის საქმიანობის შეფასებას. ქვემოთ წარმოდგენილია ანგარიშის ძირითადი მიგნებები:

1. საყოველთაო ჯანდაცვის სისტემა „ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანეს რეფორმად რჩება და ახალი მთავრობა აღნიშნულ სფეროში ინვესტიციის გაზრდის პირობას იძლევა. თუმცა, სისტემის გრძელვადიანი ფისკალური მდგრადობა, უმნიშვნელო ეკონომიკური ზრდის ფონზე, კვლავ პრობლემად რჩება. ფისკალური მდგრადობის უზრუნველსაყოფად საჭიროა ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალი მაჩვენებელი.
2. მისასალმებელია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ დაიწყო გრძელვადიანი რეფორმები თავდაცვის სფეროში. რეფორმები ფოკუსირებულია ფისკალური მდგრადობისა და ნატოს სტანდარტებთან შესაბამისობაზე. თუმცა, აუცილებელია, მთავრობამ იზრუნოს, რომ ეს რეფორმები არ განხორციელდეს თავდაცვისუნარიანობის შემცირების ან ადამიანის და შრომითი უფლებების დარღვევის ხარჯზე.
3. დამაიმედებელი სიახლეა ასევე ესტონური კორპორატიული საგადასახადო მოდელის შემოღება, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკური ეფექტურობისა და პროდუქტიულობის ზრდას. თუმცა, რეფორმა სავარაუდოდ ასევე გამოიწვევს კორპორატიული საგადასახადო შემოსავლების დროებით შემცირებას, რისი ანაზღაურებაც სხვა სფეროებიდან უნდა მოხდეს, მაგალითად აქციზის გაზრდილი გადასახადების საშუალებით.
4. აქციზის გადასახადის გაზრდა მთავარი გადახვევაა „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამიდან და აჩენს შეკითხვებს „ქართული ოცნების“ თავისუფალი საბაზრო პოლიტიკის პრინციპების ერთგულებასთან დაკავშირებით.
5. ლარიზაციის პოლიტიკა ქართული ოცნების ყველაზე საკამათო ინიციატივას წარმოადგენს. ინიციატივა ამბიციურია და მთავრობის გეგმების სოციალურად ორიენტირებულ მხარეს გამოხატავს, თუმცა, შემოთავაზებული კრიტერიუმებიდან გამომდინარე, დაზარალებული მოქალაქეების უმ-

რავლესობამ შეიძლება ვერ ისარგებლოს ამ პროგრამით.

6. მართალია, საარჩევნო პროგრამა მდიდარი იყო განათლების სისტემაში განსახორციელებელი რეფორმების ჩამონათვალთ, პირველი 100 დღის შემდეგ ამ სფეროში კიდევ ბევრი რამ რჩება გასაკეთებელი. ჯერჯერობით მთავრობა შემოიფარგლა მცირე რეფორმებით, როგორცაა, მაგალითად, სერტიფიცირებული მასწავლებლებისათვის ხელფასების ზრდა. თუმცა არ განხორციელებულა ძირეული რეფორმები, რომლებიც გამოიწვევდა განათლების ხარისხის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.
7. „ქართული ოცნების“ დომინანტურ პოზიციას პარლამენტში თან ერთვის სუსტი ზედამხედველობა საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან. მსგავს ვითარებაში ახალი კონსტიტუციის მიღებამ, რაც, როგორც ჩანს, ახალი მთავრობის პრიორიტეტია, შესაძლოა, ხელისუფლების შორის არსებული კონტროლისა და ბალანსის სისტემა დააზიანოს.
8. მედიასფეროში განვითარებულმა მოვლენებმა – სამი მნიშვნელოვანი სატელევიზიო არხის გაერთიანებამ, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის გარშემო მიმდინარე საკამათო მოვლენებმა და მედია გარემოს პოლარიზაციამ – შესაძლოა, სერიოზული საფრთხე შეუქმნას მედია პლურალიზმს.
9. საგარეო საკითხებში „ქართული ოცნება“ პრაგმატული პოლიტიკის პრინციპებისადმი ერთგული რჩება, რაც გულისხმობს რუსული გეოპოლიტიკური ინტერესების დაბალანსებას და, პარალელურად, ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას. თუმცა, ამ პოლიტიკის განხორციელებასთან და მის მდგრადობასთან დაკავშირებით გარკვეული რისკები არსებობს განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი ეს მიდგომა ხელშესახებ შედეგებს ვერ გამოიღებს.
10. მთავრობა აგრძელებს ნდობის აღდგენისა და შერიგების მშვიდობიანი პოლიტიკის გატარებას ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანთა მიმართ. თუმცა, მთავრობის მცდელობებს ართულებს რუსეთის უკომპრომისობა და მცოცავი ანექსიის პოლიტიკა. ამასთანავე საერთაშორისო საზოგადოებამ მარცხი განიცადა, მოეხდინა ეფექტური რეაგირება მიმდინარე პროცესებზე. „ქართულ ოცნებას“ ჯერ კიდევ აკლია ნათელი ხედვა და თანმიმდევრული სტრატეგია, თუ როგორ გაზარდოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების ჩართულობა სამშვიდობო პროცესებში, რაც ხელს შეუწყობდა კონფლიქტის მშვიდობიან გადაწყვეტას და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოქალაქეების უფლებების დაცვას.

შსაგალი

საქართველო გარდამავალი დემოკრატიაა. ახალბედა დემოკრატიული პოლიტიკური კულტურა და მთელი რიგი საგარეო პოლიტიკური გამოწვევები მძიმე ტვირთად აწევა საქართველოს პოლიტიკური სისტემის დემოკრატიზაციის პროცესს. 2003 წლის „ვარდების რევოლუციამ“ ქვეყნის სახელმწიფო ინსტიტუტების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება განაპირობა, რამაც დააჩქარა ეკონომიკური განვითარება, თუმცა ვერ შეძლო არსებული მძიმე სოციალურ და ეკონომიკური კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანა. ამასთანავე, 2003 წლის შემდეგ განხორციელებული ცვლილებები არ აღმოჩნდა საკმარისი ქვეყნის პოლიტიკური ინსტიტუტების ფუნდამენტური რეფორმისათვის. საქართველო ბოლო ორ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ჰიბრიდულ რეჟიმად რჩება – სადავო, შესაძლოა, გაყალბებული არჩევნებით, პოლარიზებული მედია გარემოთი, არასაკმარისად დაცული ადამიანის უფლებებით და სუსტი ოპოზიციით, რომელიც უძლურია დაუპირისპირდეს საპარლამენტო უმრავლესობასა და მთავრობას.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნები საქართველოს დემოკრატიული განვითარების საკვანძო ნერტილი გახდა, როდესაც ოპოზიციურმა „ქართული ოცნების“ კოალიციამ, ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით, მმართველი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დაამარცხა. 2012 წლის არჩევნები იყო ერთგვარი წყალგამყოფი, რადგანაც ქვეყნის უახლეს ისტორიაში ძალაუფლება, არაკონსტიტუციური მეთოდების გარეშე, პირველად ერთი პოლიტიკური ძალიდან მეორეს გადაეცა. აგრეთვე, 2012 წლის არჩევნები იყო პირველი შემთხვევა,

როდესაც ქვეყნის პოლიტიკურმა სისტემამ გამოავლინა სიმწიფისა და სტაბილურობის ნიშნები – ყოფილი მმართველი პარტია არ გაუჩინარდა პოლიტიკური სცენიდან, შეინარჩუნა ძირითადი შემადგენელი ბირთვი და პარტიული სტრუქტურა, როგორც ოპოზიციურმა პარტიამ.²

ეკონომიკური განვითარების კუთხით, 2012 წლის შემდგომმა პერიოდმა არაერთგვაროვანი სურათი წარმოგვიდგინა. „ქართულმა ოცნებამ“ საკუთარი თავი უმეტესად წარმოაჩინა, როგორც მემარცხენე ცენტრისტულმა პარტიამ რომელიც ცდილობდა რა, შეეცვალა წინამორბედი ხელისუფლების ნეოლიბერალური ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა. ქართული ოცნების სოციალურად ორიენტირებული პროგრამის მაგალითი იყო საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის შემოღება, რომელიც ამორჩევლში საყოველთაო პოპულარობით სარგებლობს, თუმცა მის მდგრადობასთან დაკავშირებით სერიოზული შეკითხვები არსებობს. მეორე მხრივ, „ქართული ოცნების“ მმართველობის ნეგატიური მხარე გახლდათ ეკონომიკური ზრდის შემცირება, რამაც დალი დაასვა მის მმართველობას. ეკონომიკური ზრდის ტემპმა და ფინანსურმა კრიზისმა ქართული ეროვნული ვალუტის (ლარის) გაუფასურება გამოიწვია. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები განიხილებოდა, როგორც დემოკრატიის მომდევნო ტესტი საქართველოს პოლიტიკური სისტემისათვის. ეკონომიკური სტაგნაცია, უმუშევრობის მაღალი დონე და ფინანსური კრიზისი მთავარ გამოწვევად არჩევნებამდე რჩებოდა. ამის მიუხედავად, მმართველმა პარტიამ მნიშვნელოვანი საარჩევნო გამარჯვების მოპოვება მოახერხა. მისმა სო-

² (კაკაჩია და ლებანიძე 2016)

ციალურად ორიენტირებულმა პოლიტიკამ, პირველ ყოვლისა, საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის შექმნამ, ნაწილობრივ ანაზღაურა ეკონომიკური ზრდის ნელი ტემპისა და ვალუტის გაუფასურების შედეგად გამოწვეული უკმაყოფილება. არჩევნებში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, ამომ-

რჩეველი და ფართო საზოგადოება „ქართული ოცნებისგან“ დახვეწილი და ქმედითი ეკონომიკური და სოციალური პროგრამის შედგენას ელოდება, რომელიც აამოძრავებს უმოქმედო ეკონომიკას და აამაღლებს „ქართული ოცნების“, როგორც კომპეტენტური ეკონომიკური მენეჯერის პრესტიჟს.

ეკონომიკური პოლიტიკა

საარჩევნო პროგრამა

i	<p>„ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამის 10 ამოცანა ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებით</p> <ul style="list-style-type: none"> ○ 200,000 ახალი სამუშაო ადგილის შექმნა ○ საშემოსავლო გადასახადის რეფორმა ○ ბიზნესის ხელშემწყობი კანონმდებლობა ○ ყოველწლიურად 8 მილიონი ტურისტი 2020 წლისათვის ○ სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობის 5,000 კოოპერატივის მხარდაჭერა ○ გზების მშენებლობის 3,5 მილიარდ დოლარიანი პროგრამა ○ ინვესტიციები ინფრასტრუქტურისა და ენერჯო სექტორში ○ ქვეყნის სრული ელექტრიფიკაცია ○ 200 ათასი ოჯახი მიიღებს ბუნებრივ აირს და 120,000 ოჯახს ალუდგება წყლის მიწოდება ○ ენერგეტიკული დამოუკიდებლობა
----------	---

ანალიზი

„ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამის ეკონომიკური განვითარების ნაწილი 14 გვერდისგან შედგება (პროგრამის დაახლოებით ერთი-მეოთხედი). პროგრამა მოიცავს მთელ რიგ ეკონომიკურ საკითხებს, მათ შორის, მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, უმუშევრობას, ეკონომიკურ რეფორმას, ენერგეტიკულ განვითარებას, ინფრასტრუქტურას და სოფლის მეურნეობას, ბიზნეს გარემოს კიდევ უფრო გაუმჯობესებასა და საგარეო სავაჭრო ურთიერთობების ლიბერალიზაციას. „ქართული ოცნების“ პროგრამა ერთდროულად მოიცავს როგორც თავისუფალი ბაზრის ეკონომიკურ პოლიტიკას, ასევე, მემარცხენე-ცენტრის-

ტულ პოლიტიკას. ეს უკანასკნელი მიზნად ისახავს ქვეყნის სოციალურად მოწყვლადი მოსახლეობისათვის საყოველთაო უსაფრთხოების ქსელის შექმნას. ქართული ოცნება ამ პოლიტიკას უწოდებს „ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას“ და „მდგრად ეკონომიკურ განვითარებას“. საარჩევნო პროგრამის თანახმად, ეკონომიკურ ზრდას თან უნდა ახლდეს სოციალური უსაფრთხოება და ეკონომიკური თანასწორობა, ისევე, როგორც სიღარიბისა და უმუშევრობის დონის შემცირება.³ მართლაც, „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამის სახელწოდება, დასათაურებული, როგორც „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილ-

³ („ქართული ოცნება“ 2016, 12)

დღეობა“, ამ ორსახოვნებას ირეკლავს.⁴ ეკონომიკური პროგრამის თავისუფალი ბაზრის ნაწილი მიზნად ისახავს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას და მოიცავს ინვესტიციებს ინფრასტრუქტურისა და სოფლის მეურნეობის სექტორებში, საგადასახოს სისტემის ლიბერალიზაციას, ბიზნესის ხელშემწყობი და მარეგულირებელი გარემოს შექმნას. აღნიშნული მიიღწევა საგადასახადო სტიმულირების (რაც მოიცავს კორპორატიული საგადასახადო რეჟიმის ლიბერალიზაციას ინვესტიციების წასახალისებლად), ბიზნესგარემოს ხელშემწყობი კანონმდებლობის, ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული და ენერგეტიკული პროექტების განხორციელებით. შესაბამისად, „ქართული ოცნების“ პოლიტიკა მიზნად ისახავს უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდის ფართოდ განაწილება, განსაკუთრებით მომდევნო 4 წლის განმავლობაში 200,000 ახალი სამუშაო ადგილის შექმნის საშუალებით.⁵ ახალი ადგილების შექმნა მოიაზრება საშემოსავლო გადასახადის რეფორმის (50,000), ბიზნესის მხარდაჭერი პროგრამების (40,000), საპენსიო რეფორმისა (10,000) და ტურიზმის სფეროს ზრდის (50,000) საშუალებით.⁶ „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამის თანახმად,

საბაზრო ლიბერალიზაცია და სოციალურად ორიენტირებული პოლიტიკა ერთმანეთის საწინააღმდეგო მიზნებს არ წარმოადგენს. მაგალითად, გადასახადის ლიბერალიზაცია სამუშაო ადგილების წარმოქმნას უწყობს ხელს, რომელმაც, შესაძლოა, პოტენციურად გააუმჯობესოს საქართველოს მოწყვლადი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა. მისასაღმებელია ის ფაქტი, რომ „ქართულმა ოცნებამ“ საარჩევნო პროგრამაში კონკრეტული ციფრები დააფიქსირა. თუმცა, ამ მიზნების მიღწევა მეტად რთული იქნება. მაგალითად, შეუძლებელია გარანტირებულად მივიჩნიოთ, რომ კორპორატიული საგადასახადო რეფორმა 50,000 ახალ სამუშაო ადგილს შექმნის. კიდევ ერთი მაგალითია პროგრამის ნაწილი, რომელიც სახელმწიფო ვალს ეხება. მომავალი სახელმწიფო ვალის ზრდის მაქსიმუმი არ არის ნათლად განსაზღვრული, პროგრამა მხოლოდ ბუნდოვან განმარტებას გვთავაზობს, რომ „სახელმწიფო ვალი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით შენარჩუნდება იმ დონეზე, რომელიც ქვეყნის სტაბილურ საკრედიტო რეიტინგს და დადებით საინვესტიციო იმიჯს უზრუნველყოფს“.⁷ მსგავსი ბუნდოვანი განმარტებები პოლიტიკოსებს ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას აძლევს.

⁴ („ქართული ოცნება“ 2016, 1)

⁵ („ქართული ოცნება“ 2016, 13)

⁶ („ქართული ოცნება“ 2016, 13)

⁷ („ქართული ოცნება“ 2016, 12)

შეფასება



საარჩევნო პროგრამა

შინაარსი:

მთლიანობაში “ქართული ოცნების” საარჩევნო პროგრამის ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილი მრავალმხრივია და მოიცავს ეკონომიკური განვითარების თავისუფალი ბაზრისა და სოციალურ ასპექტებს. პროგრამა, ერთი მხრივ, მიზნად ისახავს საგადასახო რეფორმის, ბიზნესის ხელშემწყობი კანონმდებლობის, ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამების, ინფრასტრუქტურისა და სოფლის მეურნეობის სფეროში ინვესტიციების საშუალებით ძლიერი კერძო სექტორის შექმნას; ხოლო, მეორე მხრივ, თანმხლები შედეგები ასევე მოიცავს დამატებით 200,000 სამუშაო ადგილის შექმნასა და ხელმისაწვდომობას ძირითად მომსახურებებზე. მაშასადამე, „ქართული ოცნების“ ეკონომიკური პროგრამა შეესაბამება მის ცენტრისტულ მემარცხენე იდეოლოგიურ პროფილს, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ასევე შეიცავს მემარჯვენე-ცენტრისტულ მახასიათებლებს.

წინააღმდეგობრივი საკითხები:

„ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამის ეკონომიკურ ნაწილს რამდენიმე განსაკუთრებული მახასიათებელი აქვს. იგი ირეკლავს პარტიის ორსახოვან იდეოლოგიას და ცდილობს, ერთმანეთს მოარგოს თავისუფალი ბაზრის პრინციპები და სოციალურად ორიენტირებული პოლიტიკა. ამ იდეოლოგიურ ორსახოვნებას შესაძლოა დადებითი გავლენა ჰქონდეს „ქართული ოცნების“ პოლიტიკაზე, რომლის მემარცხენე და მემარჯვენე ორიენტირებით განსაზღვრული გეგმები ერთმანეთს აბალანსებს და ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას განაპირობებს. მაგალითად, შეიძლება მსგავსად განვითარდეს კორპორატიული და აქციზის გადასახადის რეფორმები: მოსალოდნელია, რომ გადასახადების ლიბერალიზაცია ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას და სოციალური სერვისები, რაც პარტიის სოციალური გეგმის მთავარი ნაწილია, შესაძლოა, აქციზის გაზრდილი გადასახადით დაფინანსდეს. აღნიშნული პერსპექტივა შეესაბამება ქვეყნის ამჟამინდელ სიტუაციას, რომელიც მოითხოვს სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას იმის გათვალისწინებით, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც სიღარიბეში ცხოვრობს, საჭიროებს დაცვას ეკონომიკური რყევებისგან.

განხორციელებადობა:

ეკონომიკურმა პოლიტიკამ სრული შედეგი რომ გამოიღოს, ხშირად წლებია საჭირო. შესაბამისად, „ქართული ოცნების“ ეკონომიკური დანაპირების განხორციელებადობის შეფასება ძალიან ნაადრევია. შეფასებას უფრო მეტად ართულებს პროგრამაში არსებული მეტად ბუნდოვანი ფორმულირებები. თუმცა, „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის ზოგიერთი დაპირება უკვე დღეს აჩენს კითხვებს. მაგალითად, ბუნდოვანია, როგორ შეიქმნება დამატებით 50,000 სამუშაო ადგილი კორპორატიული საგადასახადო რეფორმის შედეგად. მსგავსი წინასწარი ვარაუდები უმეტესად არ მართლდება რეალობაში; მეტისმეტად ბევრი ცვლადი გათვალისწინებაა საჭირო იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს შექმნილი სამუშაო ადგილების ზუსტი რიცხვის განსაზღვრა, მაშინაც კი თუ რეფორმა ნარმატიული იქნება. კიდევ ერთი პრობლემატური საკითხია „ქართული ოცნების“ პოლიტიკა სოფლის მეურნეობის მიმართულებით, რომელიც სოფლის მეურნეობაში 5,000 ახალი კოოპერატივის შექმნას გვპირდება.⁸ ამ პოლიტიკის განხორციელებადობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რადგანაც 2017 წლის ბიუჯეტი სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტის 17%-ით შემცირებას გულისხმობს, რაც ზღუდავს რესურსებს, სასოფლო სამეურნეო ინიციატივების მხარდასაჭერად.⁹

⁸ („ქართული ოცნება“ 2016, 22)

⁹ (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 2017, 196)

პირველი 100 დღე



„ქართული ოცნების“ ხელისუფლების 10 ნაბიჯი პირველი 100 დღის განმავლობაში:

- ლარიზაციის პოლიტიკა;
- კორპორატიული საგადასახადო მოდელის შემოღება;
- აქციზის გადასახადის ზრდა;
- საგარეო ფონდების მობილიზება ინფრასტრუქტურისა და მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებისათვის;
- სოფლის მეურნეობის პროექტებისათვის ბიუჯეტის შემცირება;
- ონლაინ აზარტული თამაშებისთვის ახალი რეგულაციების შემოღება
- ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა;
- ჩინეთთან თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება რომელიც ძალაში 2017 წელს შევა;
- ინფრასტრუქტურული პროექტები;
- ეროვნული სტრატეგია სოფლის განვითარებისათვის 2017-2020.

ანალიზი

ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც ახალმა მთავრობამ გადადგა, ეროვნული ვალუტის, ლარის, მხარდაჭერაა, რომელმაც, 2014 წლის ნოემბრიდან 2016 წლის ნოემბრამდე, თავისი ღირებულების დაახლოებით 37% დაკარგა¹⁰. იმის გათვალისწინებით, რომ 2016 წლის ნოემბრის მდგომარეობით¹¹, დაახლოებით 75 000 მოქალაქეს აღებული აქვს სესხი დოლარში, ვალუტის ღირებულების კლებამ მნიშვნელოვანი სიძნელეები შეუქმნა ბევრ ოჯახს. 2016 წლის 29 ნოემბერს, მთავრობამ მთელი რიგი ღონისძიებები დაანონსა, რომლებიც მიზნად ისახავს ლარზე მოთხოვნის გაზრდას სხვა ვალუტებთან მიმართებით. აღნიშნულ ღონისძიებათა პაკეტი არაფორმალურად „ლარიზაციის გეგმად“ მოიხსენიება. იგი გულისხმობს შეთანხმებას, რომ მცირე სესხების აღება ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში და სახელმწიფო დაეხმარება სესხის მქონე მოქალაქეებს, რათა მათ შეძლონ დოლარში აღებული სესხის ლარში კონვერტაცია – შე-

საბამისად, მათზე შემსუბუქდება გავლენა, რომელსაც სავალუტო ბაზარზე არსებული ცვლილებები ახდენს. ლარიზაციის გეგმაზე განსხვავებული რეაქციები ჰქონდათ ეკონომისტებსა და ბიზნეს-საზოგადოების წარმომადგენლებს. კრიტიკას ინვესტორები მთავრობის ვალდებულება, გადასახადის გადამხდელთა თანხიდან დაახლოებით 65 მილიონი ლარი დახარჯოს უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების ლარში კონვერტაციის სუბსიდირებისათვის. გეგმა მკაცრად გააკრიტიკა ოპოზიციურმა პარტიამ – „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“, რომლის წევრებმაც ლარიზაციის გეგმა „გაფლანგვად“ შეაფასეს.¹² მთავრობამ, კრიტიკის საპასუხოდ, საზოგადოებას განუცხადა, რომ ლარიზაცია ერთჯერადი ინიციატივაა, რომელიც დროებითი ფინანსური კრიზისის დროს მოქალაქეების მხარდაჭერას უზრუნველყოფს, და არა მთავრობის მუდმივი პოლიტიკა. უფრო მეტიც, საგარეო ვალუტებზე დამოკიდებულების შემცირების მცდელობა პოზიტიურად შეაფასა საერთაშორისო სავალუტო ფონდმა.¹³

¹⁰ (ბლუმბერგი, 2017)

¹¹ (Business Caucasus Week 2016)

¹² (სივილ ჯორჯია 2016ე)

¹³ (საერთაშორისო სავალუტო ფონდი 2016)

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ, როგორც ჩანს, „ქართული ოცნების“ ახალ მთავრობას, „ქართული ოცნების“ წინა აღმინისტრაციისგან განსხვავებით, მომდევნო ოთხი წლისათვის შემუშავებული აქვს ქვეყნის ეკონომიკური რეფორმის კონკრეტული გეგმა. პარტიის 2016 წლის საარჩევნო კამპანიის ძირითადი ელემენტი იყო ოთხპუნქტიანი გეგმა, რეფორმათა პაკეტი, რომელიც 2016 წლის თებერვალში წარმოადგინა პრემიერ მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა.¹⁴ არჩევნების შემდეგ, როგორც „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობამ, ისე ახალმა მთავრობამ კვლავ მხარი დაუჭირა აღნიშნულ გეგმას, რომელიც მოიცავს საგადასახადო, განათლების, ინფრასტრუქტურულ და მმართველობით რეფორმებს, რომლის წამყვანი კომპონენტია 2017 წლის 1 იანვარს ძალაში შესული კორპორატიული საგადასახადო რეფორმა.¹⁵ ახალი საგადასახადო კოდექსის თანახმად, განაწილებული კორპორატიული მოგება აღარ დაექვემდებარება დაბეგვრას. აღნიშნული პოლიტიკა ეფუძნება წარმატებულ ესტონურ კორპორატიული გადასახადის რეფორმას.¹⁶ აგრეთვე აღსანიშნავია მთავრობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს დიდი სახელმწიფო ინვესტიციების ჩადებას ინფრასტრუქტურაში, აღმოსავლეთ-დასავლეთით და ჩრდილოეთ-სამხრეთით მგზავრობის გასაუმჯობესებლად ახალი გზების მშენებლობის ჩათვლით. პროგრამა ითვალისწინებს ტრანსპორტირების გაუმჯობესებასა და საქართველოს ტურიზმის პოტენციალის გაძლიერებას.¹⁷ მთავრობის ოთხპუნქტიანი გეგმის მთავარი პრინციპები მოიწონეს ექსპერტებმა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა, მათ შორის, მსოფლიო ბანკმა.¹⁸

მთავრობის თავისუფალი საბაზრო გეგმის მთავარი ნაწილია ახალი კორპორატიული საგადასახადო კოდექსის რეფორმა. ეკონომისტები ელიან, რომ იგი ბიძგს მისცემს ინვესტიციების ზრდას და გაზრდის ეკონომიკის ეფექტურობასა და პროდუქტიულობას. თუმცა, მას შესაძლოა ჰქონდეს მოკლევადიანი უარყოფითი ეფექტებიც. პირველ რიგში, ნავარაუდებია, რომ შემოსავლები კორპორატიული გადასახადებიდან 500 მილიონი ლარით ნაკლები იქნება, რაც პოტენციურად გამოიწვევს ფისკალურ შეზღუდვებს. მთავრობა ამ დანაკლისის ანაზღაურებას აქციზის გადასახადის გაზრდით მიღებული დამატებითი შემოსავლებით გეგმავს.¹⁹ უფრო მეტად მნიშვნელოვანია, რომ ზოგიერთი ექსპერტი „ქართული ოცნების“ კორპორატიული გადასახადის რეფორმის სერიოზულ ხარვეზებზე საუბრობს. მაგალითად, არ არსებობს დახვეწილი მექანიზმები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება ახალ საგადასახადო რეჟიმთან. კომპანიებმა, შესაძლებელია, მოჩვენებითად გაანაწილონ თავიანთი მოგება და შექმნან წარმოდგენა, რომ მოახდინეს მოგების რეინვესტიცია, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს, თავი აარიდონ კორპორატიულ გადასახადს. ერთი ეკონომისტის სიტყვებით, კერძო სექტორმა შესაძლოა „იპოვოს შემოვლითი გზა, რათა არ გადაიხადოს გადასახადი და არ მოახდინოს მოგების რეინვესტიცია“.²⁰ „ქართული ოცნების“ მემარცხენე ნაწილის წარმომადგენლებმა ახლახან მოითხოვეს საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების აქტიდან იმ ნაწილის ამოღება, რომელიც განსაზღვრავს, რომ ახალი გადასახადის შემოღება მხოლოდ რეფერენდუმის გზით არის შესაძლებელი. თუმცა, საქართველოს მთავრობამ არ გაიზიარა აღ-

¹⁴ (Investor.ge 2016)

¹⁵ (სივილ ჯორჯია 2016e)

¹⁶ (საქართველოს მთავრობა 2016b)

¹⁷ (Investor.ge 2016)

¹⁸ (საქართველოს მთავრობა 2016b)

¹⁹ (როიტერსი 2016)

²⁰ (გურული 2016)

ნიშნული ინიციატივა იმ არგუმენტით, რომ მათთვის პრიორიტეტული საკითხი ამჟამინდელი საგადასახდო სისტემის სტაბილიზაციაა. მთლიანობაში, როგორც ჩანს, „ქართულ ოცნებას“ არ სურს მისი მემარცხენე ცენტრისტული და მემარჯვენე ცენტრისტული ეკონომიკური პოლიტიკის ბალანსის დარღვევა, იმის მიუხედავად, რომ კოალიციის შიგნით არიან მემარცხენე ორიენტაციის ძალები.

2016 წლის 30 დეკემბერს ახალმა მთავრობამ მიიღო სოფლის განვითარების ეროვნული სტრატეგია.²¹ პროცესი მხარდაჭერილი იყო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამისა და გაეროს ორი სააგენტოს – გაეროს განვითარების პროგრამისა და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მიერ.²² ახალი სტრატეგია დაფუძნებულია ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკებზე აღნიშნულ სფეროში. იგი მიზნად ისახავს, „ხელი შეუწყოს მენარმეობასა და სამოქალაქო ჩართულობას და გააუმჯობესოს ხალხის ცხოვრების ხარისხი; ამავდროულად, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ბუნებრივი და კულტურული ღირე-

ბულების მემკვიდრეობას.²³

„ქართული ოცნების“ ეკონომიკური პოლიტიკის ლიბერალური ნაწილი ხელს უწყობს საგარეო ინვესტიციებისა და სესხების მოზიდვას ინფრასტრუქტურული განვითარებისათვის, ისევე, როგორც სავაჭრო ურთიერთობების უფრო მეტ ლიბერალიზაციას. „ქართული ოცნების“ მთავრობამ წარმატებით მოახერხა საგარეო ინვესტიციების, გრანტებისა და კრედიტების მოძიება ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის. ინვესტიციებზე დაფუძნებული ინფრასტრუქტურული განვითარება სწორი პროგრამაა საქართველოს მსგავსი განვითარებადი ქვეყნისთვის და შესაბამისობაშია „ქართული ოცნების“ საარჩევნო პლატფორმასთან. 2016 წლის ნოემბრიდან და 2017 წლის იანვრამდე პერიოდში საქართველოს მთავრობამ 800 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის საგარეო ინვესტიციების, გრანტებისა და სესხების მოძიება შეძლო (ცხრილი 1). ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროების გაზრდილ ბიუჯეტთან ერთად, ამ ფაქტმა უნდა უზრუნველყოს „ქართული ოცნების“ ამბიციური, ინვესტიციებზე დაფუძნებული, ინფრასტრუქტურული გეგმის განხორციელება.

²¹ (UNDP 2016)

²² (UNDP 2016)

²³ მენარმეობა

ცხრილი 1: 2016 წლის ოქტომბრის შემდეგ საქართველოსთვის გამოყოფილი ინვესტიციები, სესხები და გრანტები

ორგანიზაცია	რაოდენობა	დაფინანსების ტიპი	მიზანი
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) ²⁴	450 EUR	სესხი	სოფლის მეურნეობისა და რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება
ქუვეითის ფონდი არაბული ეკონომიკური განვითარებისათვის ²⁵	27 USD	სესხი	საქართველოში, აჭარის რეგიონში, გზების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება
აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო ²⁶	22.5 USD	გრანტი	ბიზნეს სტანდარტების გაუმჯობესება და სხვადასხვა სექტორში კონკურენტუნარიანობის გაზრდა; ასევე, ბუნებრივი რესურსების ეფექტური მმართველობის გაუმჯობესება და ბაზარზე ორიენტირებული სამუშაო ადგილების შექმნა.
თიბისი ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) ²⁷	14.3 USD	სესხი	ლუხუნი 2 ჰესი
ევროკავშირი ²⁸	43.95 EUR	გრანტი	სოფლის მეურნეობა, რეგიონული კავშირების გაზრდა, საჯარო ადმინისტრაციის რეფორმა, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება, მცირე და საშუალო საწარმოები, იძულებით გადაადგილებული პირები.
აზიის განვითარების ბანკი (ADB) ²⁹	99 USD	სესხი	წყლის მიწოდების გაუმჯობესება.
ანადოლუ ჯგუფი (Anadolu Tasit Ticaret A.S.) ³⁰	90 USD	ინვესტიცია	ჰიდროელექტროსადგური – ხელედულა 3, ქვემო სვანეთის რეგიონი.
საერთაშორისო კერძო საინვესტიციო კორპორაცია (OPIC) ³¹	67 USD	თანადაფინანსება	სამედიცინო ცენტრი თბილისში, ნავმისადგომის კომპლექსი ფოთში.

²⁴ (მორისონი 2016a)

²⁵ (Agenda.ge 2017b)

²⁶ (ინტერპრესნიუსი 2016a)

²⁷ (Agenda.ge 2017c)

²⁸ (Agenda.ge 2016b)

²⁹ (Agenda.ge 2016a)

³⁰ (Agenda.ge 2016d)

³¹ (Agenda.ge 2017d)

მთლიანობაში, ახალი მთავრობის პრიორიტეტებისა და „ქართული ოცნების“ საარჩევნო დაპირებების შესაბამისობის შეფასების საუკეთესო შესაძლებლობა 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესწავლაა (ცხრილი 2). აღსანიშნია, რომ 2017 წლის ბიუჯეტი დიდი რაოდენობით თანხებს გამოყოფს სოციალური დაცვის პროგრამებისთვის (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო), ინფრასტრუქტურისა (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო) და განათლებისათვის (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო). ამ სფეროებისათვის დაფინანსების გაზრდა შესაბამისობაშია „ქართული ოცნების“ საარჩევნო პლატფორმასთან, რომელიც გულისხმობდა განათლებაში, ინფრასტრუქტურასა და სოციალური დაცვის სფეროში ინვესტიციების განხორციელებით ინკლუზიური ზრდის ხელშეწყობას. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ 2017 წლის ბიუჯეტში, 2016 წლის ბიუჯეტთან შედარებით, 50 მილიონი ლარით შემცირდა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის გამ-

ოყოფილი დაფინანსება, რაც ნიშნავს, რომ ახალი მთავრობა სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ნაკლებ აქცენტს გააკეთებს. ეს უკანასკნელი ეწინააღმდეგება „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამას, რომელიც ფერმერების მხარდაჭერის პირობას იძლეოდა სოფლის მეურნეობის დაზღვევის სუბსიდირების, ფასების მხარდაჭერისა და სხვა გზების საშუალებით; საინტერესოა, როგორ გეგმავს მთავრობა სოფლის მეურნეობის სექტორისთვის მხარდაჭერის გაზრდას მნიშვნელოვნად შემცირებული ბიუჯეტის პირობებში.

ყველაფრის გათვალისწინებით, რთულია პირველი თვეების განმავლობაში ახალი მთავრობის ეკონომიკური საქმიანობის შეფასება ეროვნული ვალუტის ღირებულების მკვეთრი დაცემის პირობებში. მიუხედავად ამისა, 2016-2020 წლების სამოქმედო გეგმა და 2017 წლის ბიუჯეტი ზუსტად შეესაბამება „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამას. გამონაკლისია მხოლოდ პარტიის მიერ სოფლის მეურნეობის სფეროში დაანონსებულ პოლიტიკასა და 2017 წლის ბიუჯეტში სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის გამოყოფილ თანხებს შორის შესაბამობა.

ცხრილი 2: 2017 წელს ცალკეული სამინისტროებისათვის გათვლილი ხარჯები

სამინისტრო	2017 წლის ბიუჯეტი (მილიონი ლარი)	2016 წლის ბიუჯეტი (მილიონი ლარი)
შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	3,415	3,202
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	1,258	950
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	1,116	952
თავდაცვის სამინისტრო	748	750.4
შინაგან საქმეთა სამინისტრო	585	595
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	370.4	95.4
სოფლის მეურნეობის სამინისტრო	257.9	311.1

შეფასება



მთავრობის 100 დღის საქმიანობა

ძირითადი საკითხები:

„ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამასთან თანხვედრის პირობებში, „ქართული ოცნების“ ახალი მთავრობის პირველი 100 დღის საქმიანობას ახასიათებდა ლიბერალური და სოციალურად ორიენტირებული ორსახოვანი პოლიტიკა. ესტონური კორპორატიული საგადასახადო მოდელის შემოღება დააბალანსა აქციზის გადასახადის ზრდამ. ამ დრომდე, საბაზრო ლიბერალიზმის დამცველებისგან ყველაზე მეტი კრიტიკა ლარიზაციის პოლიტიკამ დაიმსახურა. მეორე მხრივ, ინკლუზიური ზრდის გასაძლიერებლად განხორციელებული სახელმწიფო ინტერვენცია შესაბამისობაშია „ქართული ოცნების“ სოციალურად ორიენტირებულ ხედვასთან. არ უნდა დავივიწყოთ, რომ პარტიაში არსებული ძლიერი ლიბერალური ფრთის მიუხედავად, „ქართული ოცნება“ საკუთარ თავს აღიქვამს, როგორც მემარცხენე-ცენტრისტულ-პარტიას და აქვს დამკვირვებლის სტატუსი ევროპელი სოციალისტების პარტიაში.

საარჩევნო პროგრამასთან შესაბამისობა

პირველი ასი დღის მანძილზე, ყველაზე საკამათო საკითხად ლარიზაციის პოლიტიკა რჩება. საარჩევნო პროგრამა ცხადად არ გვთავაზობდა სახელმწიფო ინტერვენციას ეროვნული ვალუტის მხარდასაჭერად. თუმცა, პროგრამა მიუთითებდა დოლარიზაციის მაღალი დონის უარყოფით ეკონომიკურ შედეგებზე და პირობას იძლეოდა, რომ გაზრდიდა ეროვნულ ვალუტაში აღებული სესხების რაოდენობას.³² ესტონური კორპორატიული გადასახადის მოდელის შემოღება უკვე დიდი ხანია „ქართული ოცნების“ დაპირებაა. გარდა აქციზის გადასახადის გაძვირებისა, რაც არ იყო ნათლად განსაზღვრული „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამაში, ეკონომიკური რეფორმები პარტიის საარჩევნო პლატფორმასთან საკმაოდ იყო თანხვედრაში. თუმცა, სანვავსა და იმპორტირებულ მანქანებზე აქციზის გადასახადის გაზრდა სავარაუდოდ გამოიწვევს უფრო მაღალ ფასებს საყოფაცხოვრებო საქონელზე, რაც, სოციალური მხარდაჭერის პროგრამებით ანაზღაურების გარეშე, წინააღმდეგობაშია პარტიის დაპირებასთან, უზრუნველყოს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა. გარდა ამისა, მთავრობამ მოახერხა შთამბეჭდავი რაოდენობის საგარეო ფინანსების მოძიება, უმეტესად ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის და, ასევე, ახორციელებს ვაჭრობის ლიბერალიზაციის მიმდინარე გეგმას. ორივე მათგანი „ქართული ოცნების“ ეკონომიკური გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილია. მთლიანობაში, „ქართული ოცნების“ მთავრობის პირველი ნაბიჯები საარჩევნო დაპირებებს შეესაბამება. ზოგიერთი გადანყვეტილების ეფექტურობა კამათის საგანია, თუმცა, შესაბამისობა არ ყოფილა მთავარი პრობლემური საკითხი.

³² („ქართული ოცნება“ 2016, 12-13)

სოციალური პოლიტიკა

საარჩევნო პროგრამა

i	<p>10 საკითხი „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამიდან ჯანდაცვის პოლიტიკის შესახებ:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესება; ○ მაქსიმალური ფასის განსაზღვრა 300 სახეობის მედიკამენტისთვის; ○ სოციალური უსაფრთხოების სისტემის გაუმჯობესება; ○ დაგროვებითი საპენსიო სისტემის შემოღება; ○ იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლება; ○ აზარტული თამაშების შესახებ კანონის გამკაცრება; ○ სკოლის მასწავლებელთა საშუალო ხელფასის 800 ლარამდე გაზრდა; ○ 2020 წელი C ჰეპატიტის გარეშე; ○ გარკვეული სახის მსუბუქი ნარკოტიკების მოხმარებისთვის სასჯელის ლიბერალიზაცია; ○ ახალი ტექნოლოგიური უნივერსიტეტი ქუთაისში.
----------	--

ანალიზი

„ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამის ერთ-ერთი მთავარი დაპირება იყო დაგროვებითი საპენსიო სისტემის შემოღება და პროგრამა „ცხოვრება გრძელდება,“ რაც მიზნად ისახავს პენსიონერთა დასაქმებას. ეს პოზიტიური ინიციატივა, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამით დაბალანსდეს ის ეკონომიკური ზარალი, რაც პენსიონერებს ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარის შემცირებით მიადგათ. მსგავსი ტენდენცია შეინიშნება საგანმანათლებლო სისტემაშიც. „ქართული ოცნების“ პროგრამა იძლევა დაპირებას 2017 წელს სკოლის მასწავლებლების საშუალო ხელფასის თვეში 800 ლარამდე გაზრდის შესახებ; ასევე, 2018 წლიდან ხელფასების სამომავლო ზრდის უზრუნველყოფას მშპ-ს ზრდის მაჩვენებლის საფუძველზე.³³ თუმცა, შედარებითი თვალსაზრისით, ხელფასების ზრდა, შესაძლოა, დაიჩრდილოს ეროვნული

ვალუტის გაუფასურებით.

ასევე, ქართული ოცნების საარჩევნო პროგრამა მიზნად ისახავს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების ლიბერალური პოლიტიკის შეცვლას, მონყვლადი ჯგუფების დასაცავად ახალი სახელმწიფო რეგულაციების შემოღებით. მაგალითად, „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამაში ნავარაუდებია აზარტული თამაშების შესახებ ახალი რეგულაციების დანერგვა, ისევე, როგორც მაქსიმალური ფასის განსაზღვრა 300 სახეობის მედიკამენტზე. გარდა ამისა, მთავრობა სრულად დააფინანსებს მედიკამენტებს ქრონიკულ მდგომარეობაში მყოფი პენსიონერებისთვის. როგორც მოსალოდნელი იყო, აღნიშნული რეგულაციები გააკრიტიკეს მემარჯვენე ლიბერალურმა ოპოზიციურმა პარტიებმა, როგორებიცაა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „გირჩი“.

³³ (ქართული ოცნება, 2016, 35)

შეფასება



საარჩევნო პროგრამა

შინაარსი:

ყველაფრის გათვალისწინებით, „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამა გვთავაზობს კომპლექსურ და მრავალ საკითხის მომცველ სამოქმედო გეგმას სოციალური პოლიტიკის მიმართულებით. პროგრამის სხვა თემატურ ნაწილებთან შედარებით, სოციალურ სფეროში „ქართული ოცნება“ შემდეგი ოთხი წლისთვის მთელ რიგ კონკრეტულ დაპირებებს იძლევა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ „ქართული ოცნება“ აქცენტს სოციალურ პოლიტიკაზე აკეთებს. აღნიშნული მდგომარეობა პოზიტიურ, თუმცა დამატებით ზენოლას ახდენს მმართველ პარტიაზე, შეასრულოს თავისი გაცხადებული მიზნები საკანონმდებლო ვადის დასრულებამდე.

წინააღმდეგობრივი საკითხები:

„ქართული ოცნება“ რამდენიმე ისეთი ნაბიჯის გადადგმას გვთავაზობს, რაც შთამბეჭდავად გამოიყურება ფურცელზე; მაგალითად, როგორებიცაა მასწავლებლებისათვის ხელფასის ზრდა, გაზრდილი სახელმწიფო ხარჯები საყოველთაო ჯანდაცვისა და სოციალური უსაფრთხოებისათვის და ახალი რეგულაციები სხვადასხვა სფეროებში მონყვლადი სოციალური ჯგუფების დასაცავად. თუმცა უცნობია, მოუტანს თუ არა აღნიშნული გაუმჯობესებების თვისობრივ განსხვავებას სამიზნე ჯგუფებს. კერძოდ, თუ მიმდინარე ეროვნული ვალუტის გაუფასურების პროცესს სწრაფად მზარდი ინფლაცია მოჰყვება, განეიტრალებს ხელფასებისა და პენსიების დაგეგმილი ზრდის პოზიტიური გავლენის მნიშვნელოვანი ნაწილი.

განხორციელებადობა:

„ქართული ოცნების“ ამოცანების განხორციელება მეტწილად დამოკიდებულია ქვეყნის ზოგადი სოციო-ეკონომიკური განვითარების ტრაექტორიასა და ტემპზე. მზარდი ინვესტიციები საყოველთაო ჯანდაცვის სისტემაში და მასწავლებელთა ხელფასებისა და სოციალური უსაფრთხოების გადასახადების ზრდა მოითხოვს გაზრდილ სოციალურ ხარჯებს, რაც, გრძელვადიან პერსპექტივაში, მხოლოდ ეკონომიკური ზრდისა და ფისკალური სტაბილურობის პირობებში იქნება შესაძლებელი.

პირველი 100 დღე



ქართული ოცნების 10 ნაბიჯი პირველ 100 დღეში:

- სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფო ბიუჯეტი;
- გაზრდილი დაფინანსება საყოველთაო ჯანდაცვის სისტემას;
- უფრო მკაცრი კრიტერიუმები პარტნიორი კლინიკების შესარჩევად;
- უფრო მკაცრი კონტროლი კლინიკებისთვის გამოყოფილ სახელმწიფო სახსრებზე;
- მაღალ და დაბალშემოსავლიანი მოქალაქეების მეტი დიფერენციაცია საყოველთაო ჯანდაცვის სისტემაში;
- გაზრდილი სახელმწიფო დაფინანსება განათლებას;
- გაზრდილი ხელფასები სკოლის სერტიფიცირებული მასწავლებლებისთვის;
- საყოველთაო ჯანდაცვის რეფორმის მეორე ეტაპის დაწყება;
- პენსიონერები – მთავრობის მიერ ყველაზე იგნორირებული ჯგუფი;
- იძულებით გადაადგილებული პირები იღებენ საცხოვრებელ ფართებს.

ანალიზი

მმართველობის პირველი 100 დღის განმავლობაში ახალმა მთავრობამ, საპარლამენტო უმრავლესობასთან ერთად, გააგრძელა სოციალურად ორიენტირებული პოლიტიკის გატარება. როგორც ქვემოთ წარმოდგენილი მე-3 ცხრილი გვიჩვენებს, სოციალური ხარჯები 2017 წლის ბიუჯეტში მთლიანი სახელმწიფო ხარჯების დაახლოებით ერთ-მესამედს შეადგენს.³⁴ ჯანდაცვის ბიუჯეტი 90 მილიონი ლარით გაიზარდა და 2017 წლისთვის 660 მილიონ ლარს შეადგენს,³⁵ რაც ნიშნავს, რომ „ქართული ოცნების“ მთავრობა, როგორც მინიმუმ ფურცელზე, ასრულებს დაპირებას ჯანდაცვის სისტემის

გაუმჯობესების შესახებ. თუმცა, სისტემას აქვს პრობლემებიც. მთავრობის თავშეკავებამ, მიეღო სადამსჯელო ზომები წარსულში, კლინიკებს მისცა საშუალება, ბოროტად გამოეყენებინათ სახელმწიფო თანხები, პაციენტების კეთილდღეობისგან განსხვავებული მიზნებისათვის.³⁶ ცოტა ხნის წინ მთავრობამ აღიარა პრობლემის არსებობა.³⁷ 2016 წლის დეკემბერში ხელისუფლებამ დაიწყო ჯანდაცვის რეფორმის მეორე ეტაპი, რაც გულისხმობს მეტ დიფერენციაციას მაღალ და დაბალშემოსავლიან მოქალაქეებს შორის და უფრო მკაცრ კრიტერიუმებს პარტნიორი კლინიკების შესარჩევად.³⁸

³⁴ (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 2017)

³⁵ (Ipress.ge 2016b)

³⁶ (Ipress.ge 2017)

³⁷ (Ipress.ge 2017)

³⁸ (Ipress.ge 2016a)

ცხრილი 3: 2017 წლის საბიუჯეტო სახსრების განაწილება სფეროების მიხედვით.³⁹

სფერო	გამოყოფილი თანხის წილი
სოციალური ხარჯები	29.4%
ინფრასტრუქტურული პროექტები	19.8%
სამართალდამცავი უწყებები, თავდაცვა და უსაფრთხოება და სამართლებრივი სააგენტოები	14.6%
განათლება და მეცნიერება	8.6%
ტურიზმი და მენარმეობა	1.2%

დაპირებისამებრ, 2017 წლის იანვრიდან მთავრობამ გაზარდა ხელფასები სერტიფიცირებული მასწავლებლებისათვის, რომლებიც შეადგენენ საქართველოს 60 000 მასწავლებლის ნახევარს.⁴⁰ გათვალისწინებულია, რომ დაგეგმილი ზრდის შემდეგ მასწავლებელთა საშუალო ხელფასი „ქართული ოცნების“ საარჩევნო პლატფორმის დაპირების შესაბამისად 800 ლარს მიაღწევს. მეორე მხრივ, ახალი მთავრობა ჯერ-ჯერობით თავს იკავებს საპენსიო რეფორმის განხორციელებისგან

და, პენსიების შესაძლო ზრდას კვლავინდებურად მხოლოდ ეკონომიკური ზრდის ტემპის გათვალისწინებით გეგმავს.⁴¹ იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პენსიონერები წარმოადგენენ ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე ღარიბ და დიდ დემოგრაფიულ ჯგუფს, რომელიც მონყვლადია ვალუტის გაუფასურებისა და ინფლაციის ზრდისადმი, მათი საჭიროებების იგნორირება „ქართული ოცნების“ სხვა მხრივ ძლიერი სოციალური პოლიტიკის სუსტ ნერტილად უნდა ჩაითვალოს.

³⁹ (Agenda.ge 2016c)

⁴⁰ (Allnews.ge. 2017)

⁴¹ (Jandacva.ge 2016)

შეფასება



მთავრობის პირველი 100 დღის საქმიანობა

ძირითადი საკითხები:

ახალმა მთავრობამ გააგრძელა სოციალურად ორიენტირებული პოლიტიკა, რაც „ქართული ოცნების“ საფირმო ნიშანი იყო მას შემდეგ, რაც 2012 წელს პირველად მოვიდა ხელისუფლებაში. საყოველთაო ჯანდაცვის სისტემა თამამი ექსპერიმენტი – როგორ და რამდენად შეუძლია განვითარებად სახელმწიფოს დააფინანსოს და განახორციელოს მდგრადი, საყოველთაო ჯანდაცვა.

აღნიშნული რეფორმის განხორციელება საქართველოს მთავრობის დამსახურებაა, თუმცა სისტემას სამომავლო ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერა სჭირდება. ამისათვის ხელისუფლებამ ეფექტურად უნდა დააბალანსოს ეკონომიკური განვითარება და სოციალური დაცვა. ძლიერი ეკონომიკური ზრდა საქართველოს სოციალური უსაფრთხოების გრძელვადიანი მდგრადობის წინაპირობაა.

„ქართული ოცნების“ სოციალურ პოლიტიკაში ვხვდებით ხარვეზებს. პენსიონერები იგნორირებულნი არიან ახალი ხელისუფლების მიერ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განიცდიან ეკონომიკურ წნეხს, რაც გამოწვეულია ეროვნული ვალუტის გაუფასურებითა და ინფლაციის ზრდის შესაძლებლობით. მთავრობამ მეტად უნდა იზრუნოს, რომ მისი სოციალური პოლიტიკა ყველა სოციალურად მონყვლადი ჯგუფის საჭიროებებს თანაბრად ფარავდეს.

საარჩევნო პროგრამასთან შესაბამისობა:

უმეტესად, ახალი ხელისუფლების სოციალური პოლიტიკა შეესაბამება „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამას. 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განაწილება მეტწილად ირეკლავს საარჩევნო პროგრამის ძირითად საკითხებს. თუმცა, როგორც პროგრამის სხვა ნაწილებში, ბუნდოვანმა ფორმულირებებმა გამოიწვია ამომრჩეველთა ნაწილის დაბნეულობა. მაგალითად, საარჩევნო პროგრამაში საკმარისად ნათლად არ იყო წარმოდგენილი, რომ ხელფასები გაეზრდებოდათ მხოლოდ სერტიფიცირებულ მასწავლებლებს, რამაც ხელი შეუწყო აღქმას, რომ ყველა მასწავლებელი გაზრდილ ხელფასს მიიღებდა.

საბარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა

საარჩევნო პროგრამა

i	<p>„ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამის საბარეო პოლიტიკის 10 მთავარი ამოცანა:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ დეოკუპაცია და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა; ○ ევროატლანტიკური ინტეგრაცია; ○ ევროკავშირთან ვიზების ლიბერალიზაცია; ○ თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერება; ○ ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავება; ○ რუსეთთან კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება; ○ რეგიონული თანამშრომლობა და სტრატეგიული პროექტების განხორციელება; ○ საქართველოს რბილი ძალის გაზრდა; ○ სახალხო დიპლომატიისა და ნდობის გაძლიერება კონფლიქტურ ტერიტორიებზე; ○ ინსტიტუციური და სექტორული ინტეგრაციის გაღრმავება ევროკავშირთან, მათ შორის, ევროპის ენერჯო გაერთიანების წევრობა.
----------	--

ანალიზი

ქართული ოცნების საარჩევნო პლატფორმა საბარეო პოლიტიკის საკითხების შესახებ საკმაოდ პრაგმატულ ხასიათს ატარებდა. მმართველი პარტიის გაცხადებული მიზანი იყო, ემუშავათ რუსეთის მიერ ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიებზე კონტროლის დასაბრუნებლად და შესაბამისად ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. პროგრამის ეს პუნქტი საკმაოდ ბუნდოვანია. არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული თუ კონკრეტულად როგორ უნდა მოხდეს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. „ქართული ოცნება“ იძლეოდა პირობას, რომ ამ საკითხზე მუშაობა მისი პრიორიტეტი იქნებოდა; თუმცა, არა იმ ვარაუდით, რომ რეალურად შესაძლებელი იქნებოდა საბოლოო მიზნის მიღწევა მომავალი 4 წლის განმავლობაში. პარალელურად, საარჩევ-

ნო პროგრამა იძლეოდა ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის გაღრმავების პირობას და ყურადღებას ამახვილებდა საქართველოს ევროპულობასა და, ამავე დროს, ქვეყნის თვითმყოფადი ეროვნული იდენტობის შენარჩუნებაზე.⁴² პრემიერ მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ატლანტიკურ საბჭოსთან⁴³ სექტემბრის ინტერვიუში განაცხადა, რომ ქვეყნის ევროპული ორიენტაცია „შეუქცევადია“ და ნატოს წევრობასთან დაკავშირებით „კითხვის ნიშნის ქვეშ დგას არა „თუ“, არამედ „როდის“.⁴⁴ უფრო მეტიც, „ქართული ოცნება“ საქართველოს დასავლურ ორიენტაციას განიხილავს, როგორც განვითარების მოდელს და უსაფრთხოების გარანტს. ევროპული ინტეგრაცია აღქმულია, როგორც საუკეთესო გზა „დემოკრატიული ევროპული ქვეყნის“

⁴² (ქართული ოცნება 2016, 43)

⁴³ (კუმარ სენ 2016)

⁴⁴ (კუმარ სენ 2016)

ასაშენებლად.⁴⁵ მეორე მხრივ, ნატოს წევრობა და აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავება დანახულია, როგორც საქართველოს სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების განმტკიცების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი მძიმე რეგიონულ და გლობალურ ვითარებაში.⁴⁶ ქართული ოცნების საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიზანი ეკონომიკური ხასიათისაა – „სტაბილური და პროგნოზირებადი პოლიტიკური გარემოს“ შექმნა, რომელიც არის „სასიცოცხლო კომპონენტი ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისათვის.“⁴⁷

მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია განსხვავება ინტეგრაციასა და განწევრიანებას შორის. საქართველომ მიაღწია ნატოსთან და ევროკავშირთან ურთიერთობების გაღრმავებას „ქართული ოცნების“ მმართველობის წინა პერიოდში, რაც გამოიხატა 2014 წელს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერით და, აგრეთვე, 2014 წელს ნატოსთან „არსებითი ღონისძიებათა პაკეტის“ შეთანხმებით.⁴⁸ თუმცა „ქართული ოცნების“ მთავრობა აცნობიერებს, რომ ამჟამად ევროკავშირისა და ნატოს წევრი სახელმწიფოები შემდგომი გაფართოებით დაინტერესებულნი არ არიან. შესაბამისად, საარჩევნო პროგრამა ყურადღებას ამახ-

ვილებს თვით ინტეგრაციის პროცესზე და არა (განწევრიანების) საბოლოო მიზანზე. საგარეო პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტის ანალიტიკოსის, მაიკლ ჩეჩირეს თანახმად, ნატოსთან ინტეგრაციის პროცესი კიდევ უფრო ღრმავდება და, სავარაუდოდ, ასეც გაგრძელდება.⁴⁹ მიუხედავად ამისა, ნატოში განწევრიანება შორეულ პერსპექტივად ჩანს, რადგანაც ალიანსი სულ უფრო მეტად არის დაკავებული თავისი საზღვრების დაცვით რუსული აგრესიისაგან. ჩეჩირე წერს: „რუსეთის შესაჩერებლად ნატოს აღმოსავლეთ საზღვრის გამაგრების მომხრეები შეუძლებლად მაღალ სტანდარტებს აწესებენ პოტენციური მომავალი წევრებისათვის. ალიანსის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სიძნელე ბალტიისპირეთში კარგს არაფერს უქადის საქართველოთი გაფართოების საკითხს, რომელიც საკმაოდ დაუცველი იქნება რუსეთთან კონფრონტაციაში.“⁵⁰ შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ნატოსთან, და კიდევ უფრო მეტად, ევროკავშირთან ინტეგრაცია ყველა სფეროში წინ მიიწევა, ახლო მომავალში განწევრიანება არარეალისტურია. ამ ვითარებაში, „ქართული ოცნების“ პლატფორმაში ინტეგრაციისა და განწევრიანების გამიჯვნა მნიშვნელოვანია.

⁴⁵ (ქართული ოცნება 2016, 40)

⁴⁶ (ქართული ოცნება 2016, 40)

⁴⁷ (ქართული ოცნება 2016, 40)

⁴⁸ (ნატო 2014)

⁴⁹ (ჩეჩირე 2016)

⁵⁰ (ჩეჩირე 2016)

შეფასება



საარჩევნო პროგრამა

შინაარსი:

ქართული ოცნების საარჩევნო პროგრამის საგარეო პოლიტიკის ნაწილი დეტალური და მრავლისმომცველია

მთავარი მიზნები უცვლელია: ევროატლანტიკური ინტეგრაცია და რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება. პოზიტიურია, რომ პროგრამამ თავიდან აიცილა არარეალური კონკრეტული ნიშნულებისა და მიზნების დაწესება, რაც მისასაღმებელი ცვლილებას მწვავე უსაფრთხოებისა და გეოპოლიტიკური გამოწვევების გათვალისწინებით, რომელთა სრული გადაჭრაც ახლო მომავალში შეუძლებელია.

წინააღმდეგობრივი საკითხები:


ქართული ოცნების მიზანი, გააუმჯობესოს რუსეთთან ურთიერთობები პრაგმატული, მაგრამ პრინციპული მიდგომით, დიდი ხანია ტრადიციული პროდასავლური წრეებისა და ოპოზიციური პარტიების კრიტიკის ობიექტია. კრიტიკის მთავარი ობიექტი არის არა საკუთრივ მიზანი, არამედ აღქმული საშიშროება, რომ ქართული ოცნება ზედმეტ კომპრომისზე წავა რუსეთთან ურთიერთობებში.

ამჟამინდელმა მოვლენებმა, როგორებიცაა საპარლამენტო დისკუსიები ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის ლიბერალიზაციისა და გაზპრომთან ტრანზიტული გადასახადის მონეტარიზაციის ახალი შეთანხმების შესახებ, გააძლიერა აღნიშნული ეჭვები. მეორე მხრივ, დასავლეთთან და რუსეთთან ერთდროულად კავშირების ქონის შეუთავსებლობა კრიტიკის ობიექტი გახდა კონსერვატიული ნაციონალისტური პარტიების მხრიდან, როგორცაა „პატრიოტთა ალიანსი“. მათი თვალსაზრისით, რუსეთთან კავშირები უფრო მეტად მომგებიანია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის, ვიდრე დასავლეთთან მჭიდრო ურთიერთობა. შედეგად, პატრიოტთა ალიანსი ზენოლას ახორციელებს მთავრობაზე, რომ უფრო მეტად ითანამშრომლონ კრემლთან, მისი პირობების შესაბამისად, მაშინაც კი, თუ ეს ნიშნავს ევროატლანტიკურ მისწრაფებებზე უარის თქმას.

განხორციელებადობა:

მთლიანობაში, ქართული ოცნების საარჩევნო პროგრამის საგარეო პოლიტიკის ნაწილი თავს არიდებს მკვეთრი განცხადებების გაკეთებას და უფრო მეტად ტექნიკური და პროცედურული ხასიათისაა. შესაბამისად, მასში გაცხადებული მიზნები რეალისტურია. კრიტიკის მთავარ სამიზნედ კვლავ რჩება ორი გაცხადებული მიზნის შეუთავსებლობა: ევროატლანტიკური ინტეგრაციის გაღრმავება და რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება. საქართველოსა და რუსეთის მთავრობების შეუთავსებელი პოზიციები ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ, გადაულახავ დაბრკოლებად რჩება რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების გაუმჯობესების გზაზე.

პირველი 100 დღე

	<p>საგარეო პოლიტიკის 10 მნიშვნელოვანი მოვლენა პირველ 100 დღის განმავლობაში</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საპარლამენტო რეზოლუცია ადასტურებს საქართველოს პროდასავლურ საგარეო პოლიტიკას; ○ საპარლამენტო დისკუსია ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის ლიბერალიზაციაზე; ○ ევროპოლთან პარტნიორობის მიღწევა; ○ თითქმის მიღწეული თავისუფალი სავიზო რეჟიმი ევროკავშირთან; ○ აშშ-სთან ეროვნული უსაფრთხოების ჩარჩო ხელშეკრულების ხელმოწერა; ○ აშშ-ს კონგრესის დელეგაციის ვიზიტი საქართველოში; ○ რუსეთი ხელს აწერს სამხედრო შეთანხმებას აფხაზეთთან; ○ გაზპრომთან მოლაპარაკებები და სატრანზიტო გადასახადის მონეტარიზაცია; ○ საქართველოს გავლით თურქმენეთის ნავთობის გატარებაზე შეთანხმების მიღწევა; ○ ევროკავშირმა მოიწონა საქართველოს მიერ ღრმა და ყოვლისმომცველ სავაჭრო სივრცესთან დაკავშირებული რეფორმები.
---	---

ანალიზი

„ქართული ოცნების“ ახალი მთავრობა პირველი 100 დღის განმავლობაში მეტწილად თავისი საარჩევნო პროგრამის შესაბამისად მოქმედებდა. თუმცა, რამდენიმე გადახრაც შეინიშნებოდა. 2016 წლის 29 დეკემბერს პარლამენტმა „ქართული ოცნების“ ფრაქციის მიერ ინიცირებული რეზოლუცია მიიღო საგარეო პოლიტიკის შესახებ.⁵¹ რეზოლუციას მხარი დაუჭირა როგორც „ქართულმა ოცნებამ“, ისე „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“. რეზოლუცია ადასტურებს, რომ „ევროკავშირსა და ნატოში განევრიანება საქართველოს საგარეო პოლიტიკის უმაღლესი პრიორიტეტებია“ და ევროკავშირის ხელშეკრულების 49-ე მუხლის მითითებით აცხადებს, რომ „საქართველო ესწრაფის ევროკავშირში განევრიანებას.“⁵² ამავე დროს, რეზოლუცია ადასტურებს, რომ უცვლელია რუსეთის მიმართ „რაციონალური და პრინციპული“ პოლიტიკის გატარების განზრახვა. ქვეყნის საგარეო პოლიტიკამ უნდა

მოახდინოს „საფრთხეების მინიმალიზება, საქართველოს სუვერენიტეტის გაძლიერება, დეოკუპაცია, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და რეგიონული სტაბილურობის მხარდაჭერა.“⁵³

და მაინც, ქართული ოცნების საგარეო პოლიტიკა ხშირად მკვეთრი კრიტიკის ქვეშ ექცევა როგორც პროდასავლური და კონსერვატიულ-ნაციონალისტური პარტიების მხრიდან. რუსეთთან ურთიერთობები გაუმჯობესდა, განსაკუთრებით ეკონომიკისა და ვაჭრობის სფეროებში და თბილისსა და მოსკოვს შორის პირდაპირი პოლიტიკური კონტაქტებიც დამყარდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ გაუმჯობესების მიღწევა არ მომხდარა საქართველოს ევროატლანტიკური ორიენტაციის ხარჯზე და პროდასავლური საგარეო პოლიტიკა „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში ჩვეულებრივ გრძელდება.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარკვეული მღელვარება აშშ-ს ახალი ად-

⁵¹ (სივილ ჯორჯია 2016d)

⁵² (სივილ ჯორჯია 2016d)

⁵³ (სივილ ჯორჯია 2016d)

მინისტრაციის მიმართ, მთავრობა პირობას იძლევა, რომ გააგრძელებს აშშ-სთან მჭიდრო თანამშრომლობას. აშშ-სა და საქართველოს შორის არჩევნების შემდეგ რამდენიმე მაღალი რანგის შეხვედრა ჩატარდა. 2016 წლის 6 დეკემბერს, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტმა ხელი მოაწერეს ჩარჩო ხელშეკრულებას 2016-2019 წლებში ეროვნული უსაფრთხოების შესახებ.⁵⁴ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციის მიხედვით, ხელშეკრულება მოიცავს საბრძოლო სანვრთნელი ცენტრის შექმნას, რომელიც ქართული ჯარისკაცების საბრძოლო მომზადებას შეუწყობს ხელს.⁵⁵ 2017 წლის 1 იანვარს რესპუბლიკელი და დემოკრატი სენატორების, ჯონ მაკკეინის, ლინდსი გრემის და ემი კლობუჩარის შემანდგენლობით, საქართველოს აშშ-ს მაღალი რანგის დელეგაცია ეწვია.

მართალია, „ქართული ოცნების“ წინა მთავრობის დროს საქართველოსა და რუსეთს შორის დაწყებულმა ყინულის ღლიობის პროცესმა ქვეყნის პროდასავლურ საგარეო პოლიტიკაზე პირდაპირ არ იქონია ზეგავლენა, ზოგიერთი ანალიტიკოსი და ოპოზიციური პარტია შიშობს, რომ საქართველო რუსეთის დაშოშმინების პოლიტიკისკენ იხრება. მაგალითად, 2016 წლის 28 ნოემბერს, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ გააკრიტიკა საქართველოს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის გადაწყვეტილება, მუშაობა გაეგრძელებინა მთავრობის მიერ ინიცირებულ კანონპროექტზე „ე.წ. ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემსუბუქების შესახებ.“⁵⁶ კანონპროექტის თანახმად, ოკუპირებული ტერიტო-

რიდან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე არალეგალურად შესვლა დაჯარიმდება 400 ლარით და არა 4 წლით თავისუფლებს აღკვეთით.⁵⁷ მთავრობამ და მმართველმა პარტიამ კანონპროექტში შეტანილი შესწორებები გაამართლეს კონფლიქტური ტერიტორიების მოსახლეობასთან ურთიერთობების გაადვილების საჭიროებით, კანონპროექტის შესახებ ვენეციის კომისიის დადებითი შეფასებითა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის რეკომანდაციებით, რომელთა განხორციელება მნიშვნელოვანია.⁵⁸

თუმცა, საპარლამენტო ოპოზიცია თვლის, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი „საქართველოს ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება“ და რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიას აადვილებს.⁵⁹ სხვა წყაროს მიხედვით, ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის „ჰუმანიზაცია“ შესაძლოა მეზობელი სომხეთის ინტერესებს ემსახურობდეს, რომელიც საქართველოს გავლით რუსეთში მოხვედრის ალტერნატიული გზების ძიებაშია.⁶⁰ „პატრიოტთა ალიანსმა“ კანონის ლიბერალიზაციის განსხვავებული არგუმენტი გააჟღერა. პარლამენტარის, ემზარ კვიციანიის თანახმად, რომელიც „პატრიოტთა ალიანსს“ წარმოადგენს, კანონი მთლიანად უნდა გაუქმდეს, რადგანაც ის უკრძალავს რუსეთის ეთნიკურად ქართველ მოქალაქეებს აფხაზეთში მინის შესყიდვას.⁶¹ ანალოგიურად, ძლიერი საზოგადოებრივი კრიტიკა გამოიწვია საქართველოს მთავრობის მოლაპარაკებებმა რუსულ კომპანია გაზპრომთან, საქართველოს ტერიტორიის გავლით, რუსეთიდან სომხეთისათვის გაზის ტრანზიტის საკითხმა. გაზპრომმა მოახერხა

⁵⁴ (მორისონი 2016b)

⁵⁵ (მორისონი 2016b)

⁵⁶ (Eurasian Daily 2016)

⁵⁷ (ჯლარკავა 2016)

⁵⁸ (Eurasian Daily 2016)

⁵⁹ (Eurasian Daily 2016)

⁶⁰ (ჯლარკავა 2016)

⁶¹ (ნურნუმი-ზურაბაშვილი 2016)

გაზის ტრანზიტის გადასახადის მონეტარიზაცია – საქართველოსთვის არცთუ ხელსაყრელი გამოსავალი, რომლის მიღწევასაც რუსული კომპანია დიდი ხანია ცდილობს. გადანყვეტილებამ საქართველოს მთავრობა რთულ ვითარებაში ჩააგდო და რუსულ მხარეს უბიძგა, საქართველოს მხრიდან კიდევ უფრო მეტი დათმობები ეძიოს.

ქვეყნის უსაფრთხოებისა და თავდაცვის უნარიანობის გაზრდის მიზნით, ახალმა მთავრობამ თავდაცვის სფეროში ახალი რეფორმები წამოიწყო, რომლებიც განსაზღვრული იყო „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამით. თავდაცვის მინისტრის, ლევან იზორიას თქმით, რეფორმების მთავარი ამოცანაა, „გააძლიეროს საქართველოს შეიარაღებული ძალები და უზრუნველყოს მისი მსგავსება ნატოს სტრუქტურებთან.“⁶² რეფორმების ფარგლებში საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ თანამდებობებიდან გაათავისუფლა 2000 თანამშრომელზე მეტი,⁶³ რაც „ქართული ოცნების“ პროგრამაში აღწერილი იყო, როგორც ხარჯების ოპტიმიზაციის პროცესი.⁶⁴ გარდა ამისა, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ განახლა განვევის პროცესი – წინააღმდეგობრივი გადანყვეტილება, რომელიც არ იყო აღნიშნული „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამაში. ანალიტიკოსთა ნაწილი თვლის, რომ მთავრობამ განვევის პროცესი არჩევნების შემდეგ აღადგინა, რადგან აღნიშნული ნაბიჯი არაპოპულარულია მოსახლეობის უმეტეს ნაწილში.⁶⁵ საერთო ჯამში, თავდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმები პოზიტიურად შეფასდა საერთაშორისო საზოგადოების მიერ. აშშ-ს ელჩმა საქართველოში, იან კელიმ, მას „(განსახორციელებლად) რთული“, მაგრამ „დროული“ უწოდა.⁶⁶

ვდაცვის სამინისტრომ თანამდებობებიდან გაათავისუფლა 2000 თანამშრომელზე მეტი,⁶³ რაც „ქართული ოცნების“ პროგრამაში აღწერილი იყო, როგორც ხარჯების ოპტიმიზაციის პროცესი.⁶⁴ გარდა ამისა, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ განახლა განვევის პროცესი – წინააღმდეგობრივი გადანყვეტილება, რომელიც არ იყო აღნიშნული „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამაში. ანალიტიკოსთა ნაწილი თვლის, რომ მთავრობამ განვევის პროცესი არჩევნების შემდეგ აღადგინა, რადგან აღნიშნული ნაბიჯი არაპოპულარულია მოსახლეობის უმეტეს ნაწილში.⁶⁵ საერთო ჯამში, თავდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმები პოზიტიურად შეფასდა საერთაშორისო საზოგადოების მიერ. აშშ-ს ელჩმა საქართველოში, იან კელიმ, მას „(განსახორციელებლად) რთული“, მაგრამ „დროული“ უწოდა.⁶⁶

⁶² (Agenda.ge 2017e)

⁶³ (dfwatch.net 2017)

⁶⁴ (ქართული ოცნება 2016, 46)

⁶⁵ (ჩეჩირე 2017)

⁶⁶ (Agenda.ge 2017e)

შეფასება



მთავრობის პირველი 100 დღის საქმიანობა

ძირითადი საკითხები:

ახალმა მთავრობამ, საპარლამენტო უმრავლესობასთან ერთად, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა პირველ 100 დღეში, რაც შთაბეჭდილებას გვიქმნის, თუ როგორი იქნება საქართველოს საგარეო პოლიტიკა შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში. საგარეო პოლიტიკის ახალი რეზოლუციის მიღება და ევროკავშირისა და აშშ-ს მაღალჩინოსნებთან კონტაქტების გაუმჯობესება ხაზს უსვამს საქართველოს პროდასავლური ორიენტაციის შეუქცევადობას.

მეორე მხრივ, ქართული ოცნების ინიციატივამ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის ლიბერალიზაციის თაობაზე, მწვავე კრიტიკა გამოიწვია; ისევე, როგორც გაზპრომთან ახლანდელმა მოლაპარაკებებმა, რუსეთის მიერ საქართველოს გავლით სომხეთისთვის გაზის მიწოდების ტრანზიტის შესახებ.

მცდელობამ, დაებლანსებინა პროდასავლური საგარეო პოლიტიკა და რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზებით, „ქართული ოცნება“ ყოველი მხრიდან კრიტიკის ობიექტად აქცია. პროდასავლური ოპოზიცია მმართველ პარტიას აკრიტიკებს რუსეთთან შემრიგებლური მიდგომის გამო, ხოლო კონსერვატიულ-ნაციონალისტური პარტიები მას ბრალს სდებენ, პრორუსული და პროდასავლური ვექტორების დაბლანსების, მათი აზრით, უტოპიური მცდელობისა და რუსეთთან რეალისტური პოლიტიკის გაუტარებლობის გამო.⁶⁷ საპირისპიროდ, ქართული ოცნების პრაგმატული საგარეო პოლიტიკა დიდი მხარდაჭერით სარგებლობს მოსახლეობის მხრიდან, რომელიც მხარს უჭერს როგორც დასავლეთთან ურთიერთობების გაღრმავებას, ისე რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების გაუმჯობესებას.⁶⁸

საარჩევნო პროგრამასთან შესაბამისობა:

მთლიანობაში, საქართველოს ახალი მთავრობა მეტწილად ითვალისწინებს თავის საარჩევნო პროგრამას და დგამს მთელ რიგ ნაბიჯებს ევროატლანტიკური ურთიერთობების გაღრმავებისკენ. „ქართული ოცნების“ წევრების განცხადებები რუსეთის მიმართ, რაც კონსტრუქციულ, მაგრამ პრინციპულ ხასიათს ატარებს, აგრეთვე შეესაბამება საარჩევნო პროგრამას. თუმცა, პროგრამა არ ითვალისწინებდა „ქართული ოცნების“ მიერ შესაბამის კანონში ცვლილებების შეტანას სეპარატისტული აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან საქართველოში შემოსვლის შესახებ. მსგავსად ამისა, საარჩევნო პროგრამაში აღნიშნული არ იყო თავდაცვის რეფორმის ყველა ასპექტი. „ქართულმა ოცნებამ“ თავი აარიდა საკუთარი გეგმების დაკონკრეტებას სამხედრო სავალდებულო სამსახურში განწვევის აღდგენასთან დაკავშირებით, ამომრჩევლებში ამ საკითხის არაპოპულარობის გამო.

⁶⁷ (თორნტონი და სიჭინავა 2016)

⁶⁸ (თორნტონი და სიჭინავა 2016)

დემოკრატია და ადამიანის უფლებები

საარჩევნო პროგრამა

i	<p>ქართული ოცნების საარჩევნო პროგრამის 10 მიზანი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სფეროში</p> <ul style="list-style-type: none"> ○ კონსტიტუციური ცვლილებები; ○ სისხლის სამართლისა და პენიტენციალური სისტემის გაუმჯობესება; ○ „სამართლიანობის აღდგენა“; ○ მედია პლურალიზმი; ○ დემოკრატიული არჩევნები; ○ საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობა; ○ ადამიანის უფლებების დაცვის ინსტიტუციური მექანიზმები; ○ საკუთრების უფლებების უკეთესად დაცვა; ○ გენდერული თანასწორობა და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა; ○ სამოქალაქო სერვისის გაუმჯობესება.
----------	---

ანალიზი

ქართული ოცნების საარჩევნო პროგრამის პირველი 10 გვერდი ქვეყნის „დემოკრატიულ განვითარებას ეთმობა.“⁶⁹ თუმცა, უმეტესი ნაწილი „ქართული ოცნების“ მმართველობის პირველი 4 წლის განმავლობაში მიღწეულ წარმატებასა და ყოფილი მმართველი პარტიის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, პოლიტიკის კრიტიკას ეხება.

„ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამა დაპირებას იძლევა, რომ კიდევ უფრო გაუმჯობესდება სისხლის სამართალი და პენიტენციალურ სისტემაში არსებული მდგომარეობა.⁷⁰ პროგრამა ასევე გვპირდება, რომ გაგრძელდება „სამართლიანობის აღდგენის“ პროცესი ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ და კიდევ უფრო უკეთ იქნება დაცული ძირითადი პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებები; მათ შორის, საკუთრების

უფლება, გამოხატვის, მედიისა და შეკრების თავისუფლება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.⁷¹ საარჩევნო პროგრამის დაპირების თანახმად, კიდევ უფრო გაიზრდება ისეთი სახელმწიფო სააგენტოების ეფექტურობა და დამოუკიდებლობა, როგორებიცაა პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სახელმწიფო უშიშროების სამსახური და სასამართლო.⁷² გარდა ამისა, საარჩევნო პროგრამა გვპირდება ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფო სამოქალაქო სამსახურის გაძლიერებასა და მმართველობის ყველა დონის არჩევნების სამართლიანად და მშვიდობიანად ჩატარებას.⁷³

„ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის დროს საკონსტიტუციო ცვლილებების საკითხი მწვავე კამათის საგანი იყო. „ქა-

⁶⁹ (ქართული ოცნება 2016)

⁷⁰ (ქართული ოცნება 2016, 5)

⁷¹ (ქართული ოცნება 2016, 8-9)

⁷² (ქართული ოცნება 2016)

⁷³ (ქართული ოცნება 2016)

რთული ოცნების“ საარჩევნო პროგრამა ამ მიმართულებით მოკლე და საკმაოდ ბუნდოვანია. იგი მხოლოდ აზუსტებს, რომ ნებისმიერი ცვლილება მთავრობის საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებს შორის ძალაუფლების დაყოფის საფუძველზე მოხდება.⁷⁴ „ქართულმა ოცნებამ“ ზოგიერთ შემთხვევაში საკონსტიტუციო ცვლილებების კონკრეტული წინადადებები 2016 წლის არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე წარმოადგინა. 2015 წელს პარტიამ

განაცხადა, რომ „2016 წლის შემდგომი ყველა საპარლამენტო არჩევნებისთვის მთლიანად პროპორციულ (მრავალმანდატიანი ოლქების) სისტემას“ დაწერგავდა.⁷⁵ შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო პროგრამაში არ იყო დაწვრილებით ასახული სავარაუდო საკონსტიტუციო ცვლილებების ხასიათი, საარჩევნო პერიოდის განმავლობაში დისკუსიის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი პარლამენტის წევრების არჩევნის პროცედურის ცვლილება იყო.

შეფასება



საარჩევნო პროგრამა

შინაარსი:

საარჩევნო პროგრამა მოიცავდა დემოკრატიასთან დაკავშირებულ არა ერთ საკითხს, რომელიც გაუმჯობესებას საჭიროებს. თუმცა, ბევრი საკითხი მოკლედ და ბუნდოვნად იყო გადმოცემული, რამაც შექმნა სუბიექტური ინტერპრეტაციის შესაძლებლობა. ამის კარგი მაგალითია საკონსტიტუციო შესწორებები. პროგრამაში არ იყო წარმოდგენილი არც დეტალური ინფორმაცია, თუ კონსტიტუციის რომელი ნაწილის შეცვლას გეგმავდა „ქართული ოცნება“ და არც ის, თუ როგორ აპირებდა ამის გაკეთებას. მსგავსად ამისა, პროგრამა ყურადღებას ამახვილებდა მედია პლურალიზმისა და სარედაქციო პოლიტიკის დამოუკიდებლობის მნიშვნელობაზე, მაგრამ არ აზუსტებდა, რა ნაბიჯების გადადგმა იყო საჭირო ამ მიზნების მისაღწევად.

წინააღმდეგობრივი საკითხები:

2016 წლის საარჩევნო პროგრამა გადაჭარბებულ ყურადღებას უთმობდა 2012 წლამდე პერიოდში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ჩადენილ დანაშაულებს და და თუ როგორ გამოსწორდა ვითარება “ქართული ოცნების” მმართველობის პერიოდში. პროგრამა ასევე შეიცავდა საკამათო ჩანაწერებს, როგორცაა „სამართლიანობის აღდგენა“ („ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ), – პოლიტიკურად დატვირთული საკითხი, რომელმაც წინა წლებში საზოგადოების პოლარიზაციას შეუწყო ხელი და საერთაშორისო საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია. თუმცა, ამ საკითხების ბუნდოვანი ფორმით ხსენება, კონკრეტული მოქმედების გეგმის გარეშე, შეიძლება აღქმული იქნას, როგორც საზოგადოების იმ ნაწილის გულის მოგების მცდელობა, რომელიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგაა განწყობილი და „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა ნაწილს წარმოადგენს.

განხორციელებადობა:

დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაუმჯობესება არ არის დამოკიდებული საგარეო ფაქტორებზე, როგორც სხვა სფეროები, მაგალითად, ეკონომიკა ან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა. იგი დამოკიდებულია მხოლოდ მთავრობისა და „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობის პოლიტიკურ ნებაზე. შესაბამისად, დემოკრატიული რეფორმების კრახი ან წარმატება ახალი მთავრობის ცალსახა პასუხისმგებლობა იქნება.

⁷⁴ (ქართული ოცნება 2016)

⁷⁵ (საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო 2015)

პირველი 100 დღე

i	<p>პირველი 100 დღის განმავლობაში დემოკრატია და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული 10 მნიშვნელოვანი მოვლენა</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სამი კერძო სატელევიზიო კომპანიის გაერთიანების მიმდინარე პროცესი; ○ საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალ დირექტორად პოლიტიკურად მოტივირებული პიროვნების დანიშვნა; ○ „ქართული ოცნების“ ფრაქციის თავმჯდომარე დასახელებულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ; ○ საკონსტიტუციო კომისიის დაფუძნება; ○ თბილისის ყოფილი მერის საპატიმროდან გათავისუფლება; ○ „ქართული ოცნება“ კიდევ ერთხელ გამოთქვამს სურვილს, ცვლილებები შეიტანოს პრეზიდენტის არჩევის პროცედურაში; ○ ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტიის დაშლის პროცესი; ○ პრეზიდენტმა ვეტო დაადო სასამართლოს რეფორმას; ○ საქართველომ გაიუმჯობესა კორუფციის აღქმის ინდექსის რეიტინგი; ○ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ გააკრიტიკა საქართველო მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო.
----------	---

ანალიზი

2016 წლის 23 დეკემბერს პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილებების მოსამზადებლად საკონსტიტუციო კომისია დააფუძნა. კომისია 74 წევრისგან შედგება: ოპოზიციური პარტიებიდან კომისიაში 15 წევრია, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან და ექსპერტთა წრეებიდან – 24, მმართველი პარტიიდან – 24 და საჯარო სექტორიდან და სასამართლოდან – 11 წევრი.⁷⁶ კომისიას ხელმძღვანელობს პარლამენტის თავმჯდომარე – ირაკლი კობახიძე, რომელიც მმართველ პარტიას წარმოადგენს.⁷⁷ „ქართული ოცნების“ გაცხადებული მიზანია, რომ საქართველოს კონსტიტუცია კლასიკური საპარლამენტო რესპუბლიკის კონცეფციასთან შესაბამისობაში მოიყვანოს.⁷⁸ ეს შესაძლებელია გულისხმობდეს პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევას პარლამენტის მიერ, რასაც ძლიერ ეწინააღმდეგება როგორც ოპოზიცია, ასევე ექსპერტთა წრეები. მეორე მხრივ, მმართვე-

ლი პარტია თავშეკავებას იჩენს საარჩევნო კოდექსის ცვლილებასა და მაჟორიტარული სისტემის გაუქმებასთან დაკავშირებით. „ქართული ოცნების“ საპარლამენტო ფრაქციის ხელმძღვანელის, მამუკა მდინარაძის თანახმად, მაჟორიტარული სისტემის გაუქმება ოპოზიციური პარტიების ინტერესებს შეესაბამება, თუმცა მმართველი პარტია ამ ინტერესს არ იზიარებს.⁷⁹ შესაბამისად, კომისიის სხვადასხვა ჯგუფებს შორის კონფლიქტი გარდაუვალია. კომისიას ევალება, პარლამენტს საკონსტიტუციო ცვლილებების წინადადებათა პაკეტი 2017 წლის აპრილისთვის წარუდგინოს.

ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა საქართველოს სატელევიზიო მედია ბაზარმა. მიმდინარეობს სამი მთავარი კერძო სატელევიზო საშუალების – იმედის, GDS-ისა და მანეტროს გაერთიანების პროცესი.

⁷⁶ (ბასილაია 2016)

⁷⁷ (ბასილაია 2016)

⁷⁸ (ბასილაია 2016)

⁷⁹ (ბასილაია 2016)

სამივე არხის გადაცემები მთავრობისთვის სასარგებლო ტენდენციებს ამჟღავნებს და კრიტიკულია ოპოზიციის მიმართ. იმედის ტელევიზიის მესაკუთრე გარდაცვლილი ბიზნესმენის, ბადრი პატარკაციშვილის ოჯახია, GDS-ის მფლობელი – ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის შვილი ბერა ივანიშვილი; ხოლო მაესტროს რამდენიმე თანამფლობელი ჰყავს. მაესტროს და GDS-ის საკონტროლო პაკეტი ტელეკომპანია იმედს გადაეცემა. შესაბამისად, სწორედ პატარკაციშვილის ოჯახი გახდება ახალი მედია კონგლომერატის მფლობელი.⁸⁰ თუმცა, უცნობია, როგორი იქნება სამ ტელეარხს შორის ძალთა არაფორმალური განაწილება. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ტელევიზია ყველაზე მნიშვნელოვანი მედია ინსტრუმენტია, გაურკვეველია, რატომ ანდობს ბიძინა ივანიშვილი პატარკაციშვილის ოჯახს ახალი კონგლომერატის ხელმძღვანელობას და რატომ არის დარწმუნებული, რომ იგი შეინარჩუნებს პროსამთავრობო შეხედულებებს. სამ კერძო ტელეკომპანიას შორის გარიგებამ ოპოზიციის და სამოქალაქო საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია. მაესტროს აქციონერს, მამუკა ლლონტს, სჯერა, რომ გარიგება ივანიშვილის ინტერესების გამო მოხდა. ლლონტის თანახმად, „ეს იყო GDS-ის მიერ ტელეკომპანიების იმედისა და მაესტროს შესყიდვა. ამ გარიგების მიღმა ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაა“.⁸¹ მსგავსად ამისა, მედია ექსპერტი ლაშა ტულუში ხაზს უსვამს გაერთიანების პოლიტიკურ შეფერილობას, რომელიც „მედია გარემოს დააზიანებს“.⁸²

ასევე, საკამათო გადანყვეტილება იყო საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორად ვასილ მაღლაფერიძის არჩევა.⁸³ მაღლაფერიძის პოლიტიკური ნარსული მის პოლიტიკურ ნეიტრალურობაში დარწმუნების შესაძლებლობას არ იძლევა, რასაც გადამწვეტი მნიშვნელობა აღნიშნული თანამდებობის შემთხვევაში აქვს. 2012 წელს იგი მაშინდელი პრემიერ მინისტრის – ბიძინა ივანიშვილის კუთვნილი ტელეკომპანია მეცხრე არხის დირექტორის მოადგილედ მუშაობდა.⁸⁴ ხოლო, 2014-2016 წლებში GDS-ის წამყვანი პოლიტიკური ტოქმოუს გენერალური პროდიუსერი იყო.⁸⁵ საქართველოს მედია ბაზარზე, რამდენიმე დამოუკიდებელი ტელეარხის გარდა, რომლებიც მხოლოდ თბილისში მაუწყებლობენ, რუსთავი 2 ერთადერთი მთავარი სატელევიზიო არხია, რომელიც მთავრობას მუდმივად აკრიტიკებს. რუსთავი 2 დიდ პოპულარობას ინარჩუნებს, თუმცა ასევე განიცდის ფინანსურ პრობლემებს. რაც კომპანიის მფლობელობის უფლების შესახებ მიმდინარე სასამართლო დავის შედეგია, ბევრი შიდა და საერთაშორისო დამკვირვებელი მიიჩნევს, რომ დავა ტელევიზიის ამჟამინდელი მფლებლების წინააღმდეგ პოლიტიკურად მოტივირებულია და „ქართული ოცნების“ მთავრობის მიერაა წამოწყებული. უფრო მეტიც, ტელევიზია ნდობის ნაკლებობასაც განიცდის, ვინაიდან ბევრი მოქალაქე მას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ტელევიზიად მიიჩნევს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მედია პლურალიზმის ამჟამინდელი მდგომარეობა არადაამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს.

⁸⁰ (სივილ ჯორჯია 2016c)

⁸¹ (სივილ ჯორჯია 2016c)

⁸² (ინტერპრესნიუსი 2016b)

⁸³ (სივილ ჯორჯია 2017)

⁸⁴ (სივილ ჯორჯია 2017)

⁸⁵ (სივილ ჯორჯია 2017)

შეფასება



მთავრობის პირველი 100 დღის საქმიანობა

მთავარი საკითხები:

პირველი 100 დღის განმავლობაში მთელი რიგი მნიშვნელოვანი მოვლენები განვითარდა, რომლებიც ცხადყოფს მთავრობის განზრახვებს მომდევნო 4 წლისთვის. საკონსტიტუციო შესწორებების წარმოსადგენად საკონსტიტუციო კომისია შეიქმნა, მიმდინარეობს პროსამთავრობო კერძო ტელევიზიების გაერთიანების პროცესი, ხოლო საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორად ახალი ხელმძღვანელი დაინიშნა. სამწუხაროდ, არც ერთი აღნიშნული მოვლენა არ აისახება დადებითად საქართველოში დემოკრატიის განვითარებაზე.

საარჩევნო პროგრამასთან შესაბამისობა:

მედია პლურალიზმთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ სატელევიზიო არხების გაერთიანება და საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელად პოლიტიკურად მოტივირებული პიროვნების დანიშვნა ეწინააღმდეგება „ქართული ოცნების“ პროგრამის გაცხადებულ მიზანს – „უზრუნველყოს მედია პლურალიზმი და სარედაქციო გაშუქების დამოუკიდებლობა“. მიმდინარე სასამართლო დავა რუსთავი2-ის წინააღმდეგ საფრთხეს უქმნის მთავრობის მიმართ კრიტიკულად განწყობილი უკანასკნელი მთავარი კერძო სატელევიზიო არხის დამოუკიდებლად ფუნქციონირებას.

ასევე, ჯერ-ჯერობით „ქართულ ოცნებას“ არ გამოუმჟღავნებია, რომ ის მზად არის საკონსტიტუციო შესწორებების საკითხთან დაკავშირებით კომპრომისზე წასასვლელად. მმართველი ძალის მიერ შემოთავაზებული შესწორებები ემსახურება მმართველი პარტიის ხელში ძალაუფლების კონსოლიდაციას (პრეზიდენტის არჩევა პარლამენტის მიერ) ან გამიზნულია ამომრჩეველთა სოციალურ-კონსერვატიული ნაწილის დამატებითი ხმების მოსაზიდად (ქორწინების, როგორც ქალსა და კაცს შორის კავშირის განსაზღვრა). „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა ასევე უყურადღებოდ დატოვეს ოპოზიციის მოწოდებები მაჟორიტარული სისტემის გაუქმებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, „ქართული ოცნების“ მიდგომა ამ დრომდე ამჟღავნებს იმაზე ნაკლებ ინტერესს თანამშრომლობისა და კონსენსუსისადმი, ვიდრე ამას მისი საარჩევნო პროგრამა გვპირდებოდა.⁸⁶

⁸⁶ („ქართული ოცნება“ 2016, 10)

ქართული ოცნების სამთავრობო გამოწვევები კონსტიტუციური უმრავლესობა: საფრთხე თუ უმსაქმელობა?



კვალიფიციური უმრავლესობის ძალაუფლება საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში

- ცვლილებები კონსტიტუციაში;
- ნებისმიერ სფეროში ნებისმიერი კანონის ცვლილება/მიღება;
- მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადება კენჭისყრის გზით;
- ახალი მთავრობის დანიშვნა;
- საგამოძიებო კომისიის ინიცირება;
- ოპოზიციის საკანონმდებლო და კონტროლის ფუნქციის შემცირება.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებმა საქართველოში ერთპარტიული მმართველობა დააბრუნა. ვითარება, როდესაც ერთი პარტია ფლობს კვალიფიციურ უმრავლესობას, ქართველ ექსპერტთა საზოგადოებასა და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის მღელვარებას იწვევს. ქვეყანას აქვს მმართველი პარტიის მიერ თავისი მანდატის ბოროტად გამოყენებისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების ტრადიცია, რაც იწვევდა მათი მმართველობის პერიოდის გახანგრძლივებას. „ქართულ ოცნებას“ აქვს შესაძლებლობა, დაამკვიდროს ახალი, უფრო დადებით სტანდარტი ქართულ პოლიტიკაში და მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს თავის მანდატს. თუმცა, საწყისი ნიშნები არ არის იმედის მომცემი. არჩევნებიდან ცოტა ხნის შემდეგ, „ქართულმა ოცნებამ“ გამოამჟღავნა განზრახვა, განახორციელოს საკონსტიტუციო ცვლილებები რამდენიმე სფეროში; მათ შორის, პრეზიდენტის არჩევნის წესისა და ქორწინების, როგორც კაცსა და ქალს შორის არსებული ერთობის განსაზღვრის შესახებ. საყურადღებო შეკითხვაა, რამდენად

გამართლებულია „ქართული ოცნების“ კვალიფიციური უმრავლესობის მიმართ არსებული მღელვარება. პარტიის მხარდამჭერები იმ ფაქტს იშველიებენ, რომ „ქართული ოცნების“ მმართველობის პირველი ოთხი წელი უფრო მეტად პლურალისტური და დემოკრატიული იყო, ვიდრე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ პარტიამ დაადასტურა ავტოკრატიული მმართველობის დაბრუნების საფრთხის არარსებობა. თუმცა, გასული ოთხი წლის პლურალიზმის მხოლოდ „ქართული ოცნების“ დამსახურებად მიჩნევა გადაჭარბებულია. მსგავსი განვითარება უფრო მეტად განსაკუთრებული ფაქტორების ერთობლიობის შედეგი იყო, რომლებიც 2012 წელს არჩევნების გზით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისგან“ „ქართული ოცნებისთვის“ ძალაუფლების გადაცემას მოჰყვა, რაც პირველი შემთხვევა გახლდათ საქართველოს ისტორიაში. „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ძალაუფლების გადაცემის შემდეგაც შეინარჩუნა გავლენა მთელ რიგ სახელმწიფო ინსტიტუტებზე, როგორებიცაა საქართველოს

ეროვნული ბანკი, საკონსტიტუციო სასამართლო, პრეზიდენტის ადმინისტრაცია და სხვა უწყებები. შესაბამისად, „ქართული ოცნების“ პლურალისტობა უფრო მეტად ყოფილ და იმ დროისათვის მმართველ პარტიას შორის ძალაუფლების ბალანსის შედეგი იყო, რასაც ასევე ემატებოდა „ქართული ოცნების“ მრავალფეროვანი შემადგენლობა. სიტუაცია რადიკალურად განსხვავდება დღეს. ამჟამად „ქართული ოცნების“ შემადგენლობა ნაკლებად მრავალფეროვანია იმის გათვალისწინებით, რომ მისმა ყველაზე მეტად ლიბერალურმა და პროდასავლურმა პოლიტიკურმა პარტიებმა – „თავისუფალმა დემოკრატებმა“ – 2014 წელს, და „რესპუბლიკელებმა“ – 2016 წელს, დატოვეს კოალიცია. იმ ფაქტმა, რომ კოალიციას გამოაკლდა ორი ლიბერალური პარტია, შესაძლოა, უფრო მეტად გაზარდოს დემოკრატიული პროცედურების დარღვევის ცდუნება, მაშინ, როდესაც მმართველი პარტია მათ თავისი ინტერესებისათვის დაბრკოლებად აღიქვამს.

უფრო მეტად მნიშვნელოვანია, რომ „ქართული ოცნება“ აკონტროლებს ყველა მნიშვნელოვან საჯარო უწყებას, გარდა საკონსტიტუციო სასამართლოსი. მაშასადამე, ფორმალური შემაკავებელი და გამაწონასწორებელი ძალები მმართველი პარტიის

მხარესაა. რასაკვირველია, არსებობს ასევე არაფორმალური კონტროლის მექანიზმები, რაც მოიცავს ძლიერ სამოქალაქო საზოგადოებას, დამოუკიდებელ მასმედიას და ძლიერ საშუალო კლასს, რომელიც ფინანსურად დამოუკიდებელია მთავრობისაგან და მზად არის, დაიცვას ქვეყნის დემოკრატიული საფუძვლები. თუმცა, საქართველოში ყველა ჩამოთვლილი არაფორმალური ინსტიტუტი სუსტია; მაგალითად, სამოქალაქო საზოგადოება ფინანსების სიმწირეს და პოლიტიკურ ინფანტილიზმს განიცდის, საშუალო კლასის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ დამოკიდებულია სახელმწიფოზე, რომელიც ქვეყანაში ყველაზე დიდი დამსაქმებელია. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მივიღეთ ძლიერი ერთპარტიული მთავრობა უზარმაზარი რესურსებით. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ქვეყანა აუცილებლად ავტოკრატიული ტენდეციებისკენ უნდა გადაიხაროს. საქართველოს პოლიტიკურ სისტემას გამოუცდია უფრო ძლიერი ერთპარტიული მმართველობაც, რომელიც დემოკრატიული არჩევნების შედეგად დასრულდა. ყველა თავისი ნაკლოვანებით, „ქართული ოცნება“ ამ დრომდე რჩება პროცედურული დემოკრატიის პრინციპების ერთგული – რაც ამ ეტაპზე დასაფასებელია.

დასკვნა

წარმოდგენილმა კვლევამ შეაფასა მთავრობის საქმიანობა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომი 100 დღის განმავლობაში. კვლევის ფარგლებში გამოკვეთილია როგორც მთავრობის შესაძლებლობები, ისე გამოწვევები მომდევნო ოთხი წლისათვის. კვალიფიციური საპარლამენტო უმრავლესობისა და შეზღუდული რაოდენობის ფორმალური და არაფორმალური კონტროლისა და ბალანსის მექანიზმების გათვალისწინებით, „ქართული ოცნების“ ახალ მთავრობას ეკისრება ქვეყნის ეფექტურად და დემოკრატიულად მართვის თითქმის ექსკლუზიური პასუხისმგებლობა. მამასადამე, მთავრობას დასჭირდება როგორც პოლიტიკური გამბედაობა, ისე ქართული საზოგადოებისა და საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერა იმისთვის, რათა ქვეყანა წაიყვანოს დემოკრატიული და ეკონომიკურად წარმატებული მომავლისკენ.

ცხრილი 3 აფასებს ქართული ოცნების მთავრობის საქმიანობის შედეგებს პირველი 100 დღის განმავლობაში შემდეგი ორი კრიტერიუმის საფუძველზე: რამდენად შეესაბამებოდა მთავრობის ქმედება მის წინასაარჩევნო დაპირებებს („წინასაარჩევნო პროგრამასთან შესაბამისობა“) და რამდენად დაეხმარა ან ვერ დაეხმარა მისი ქმედებები ქვეყნის ეკონომიკურ და დემოკრატიულ განვითარებას („მთავარი გამოწვევები“). მთავრობის საქმიანობა ოთხ ფართო კატეგორიად დავყავით: ეკონომიკა, სოციალური კეთილდღეობა, დემოკრატია და ადამიანის უფლებები და საგარეო პოლიტიკა (ცხრილი 3).

➤ მთლიანობაში, სურათი ძალზე კომპლექსურია. ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში, ლარის გაუფასურებასთან დაკავშირებით წარმოქმნილმა კრიზისმა, მთავრობა აიძულა, მიეღო დროებითი, განსაკუთრებული გადაწყვეტილებები,

როგორცაა საჯარო რესურსების გამოყენება ვალუტის დასასტაბილურებლად. ბევრმა ექსპერტმა და ოპოზიციონერმა ლარიზაციის პოლიტიკა გააკრიტიკა და მისი გაუქმება მოითხოვა.

- სოციალური და ჯანდაცვის პოლიტიკის სფეროში „ქართული ოცნება“ უფრო მეტად თანმიმდევრულია. 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი სოციალურად ორიენტირებულია, რაც შეესაბამება საარჩევნო პროგრამის დაპირებას. თუმცა, მაღალი სოციალური ხარჯების შენარჩუნება ვერ მოხერხდება, თუკი მას არ ახლავს ეკონომიკური ზრდა და ფისკალური სტაბილურობა.
- საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, როგორც ჩანს, ყველაზე ნაკლებად პოლარიზებული საკითხია. „ქართული ოცნება“ მიჰყვება მისთვის ჩვეულ კურსს, რომელიც რუსეთის მიმართ კონსტრუქციული მიდგომისა და ცალსახა პროდასავლური საგარეო პოლიტიკის კომბინაციას წარმოადგენს.
- დემოკრატიის და ადამიანის უფლებების სფეროში, პირველი 100 დღის განმავლობაში ორი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი გამოიკვეთა: მედია პლურალიზმი და განზრახული საკონსტიტუციო შესწორებები. ამ უკანასკნელს, როგორც ჩანს, ორი მხარე აქვს. თუ საკონსტიტუციო ცვლილებების პროცესი დემოკრატიული და გამჭვირვალე იქნება, ცვლილებებმა, შესაძლოა, ხელი შეუწყოს დემოკრატიზაციის პროცესს; მაგრამ, შესაბამისი განხორციელების გარეშე, საკონსტიტუციო ცვლილებები სავარაუდოდ გამოიწვევს მმართველი პარტიის ხელში კიდევ უფრო მეტი ძალაუფლების თავმოყრას.

ცხრილი 3: საქართველოს მთავრობის პირველი 100 დღის შეფასება

შეფასება სფერო	წინასაარჩევნო პირობები	არჩევნების შემდეგ 100 დღე	საარჩევნო პროგრამასთან შესაბამისობა	მთავარი გამოწვევები და რეკომენდაციები
<p>ეკონომიკური და ფისკალური პოლიტიკა</p>	<p>200,000 ახალი სამუშაო ადგილი, კორპორატიული გადასახადის რეფორმა, ბიზნესის ხელშეწყობები გარეგანი, ინფრასტრუქტურული ინვესტიციები.</p>	<p>ლარიზაციის გეგმა, კორპორატიული გადასახადის რეფორმა, გაზრდილი აქციზის გადასახადები, უმუშევრობის მაღალი დონის გადაჭრის ბუნდოვანი კონცეფცია, ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის უცხოური ფინანსების მოზილევა.</p>	<p>„ქართული ოცნება“ მეტწილად ითვალისწინებს თავის წინასაარჩევნო დაპირებებს. თუმცა, სოფლის მეურნეობისთვის სახელმწიფო ხარჯების შემცირებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას „ქართული ოცნების“ პროგრამაში აღწერილ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ გეგმებს. აქციზის გადასახადის გაძვირება არ ყოფილა ნათლად აღნიშნული პროგრამაში.</p>	<p>ლარიზაციის გეგმა შეკითხვებს ბადებს როგორც ეთიკური, ისე ეკონომიკური პერსპექტივიდან. ახალი კორპორატიული გადასახადი სისტემა მოითხოვს უფრო ძლიერ კონტროლის მექანიზმებს; პენსიონერები საჭიროებენ უფრო მეტ ყურადღებას, რადგანაც მოწყველადნი არიან ეკონომიკური სირთულეების მიმართ და, ამავ დროს, ვერ ლეზულობენ სათანადო მხარდაჭერას მთავრობისაგან.</p>
<p>სოციალური პოლიტიკა</p>	<p>საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესება, დაგროვებითი საპენსიო სისტემები, უფრო მაღალი ხელფასები მასწავლებლებისათვის, განათლების რეფორმა.</p>	<p>გაზრდილი სოციალური ხარჯები; საყოველთაო ჯანდაცვის რეფორმის მეორე ეტაპი; საყოველთაო ჯანდაცვისა და განათლებისათვის გაზრდილი ფონდები, მასწავლებლებისათვის გაზრდილი ხელფასები</p>	<p>„ქართული ოცნება“ ძირითადად ერთგულია წინასაარჩევნო დაპირებების.</p>	<p>გაზრდილი სოციალური ხარჯების შენარჩუნება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუკი მასთან ახლავს მყარი ეკონომიკური და ფისკალური პოლიტიკა და შესაბამისი ეკონომიკური ზრდა; სოციალური ხარჯების განაწილება მოკლევადიან პერიოდში უნდა იყოს მთავრობის მხრიდან ყველაზე მეტად იგნორირებული რჩებოდეს.</p>
<p>საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა</p>	<p>რუსეთის მიმართ პრაგმატიული პოლიტიკა; ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესების გაღრმავება.</p>	<p>ვიზების ლიბერალიზაცია; ახალი რეზოლუცია საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით; ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის ლიბერალიზაციის მცდელობა; გაზრდილი გაზის ტრანზიტის გადასახადის მონეტრიზაცია.</p>	<p>„ქართული ოცნება“ ძირითადად ერთგულია წინასაარჩევნო დაპირებების, თუმცა პროგრამა არ ითვალისწინებდა ოკუპირებული ტერიტორიების კანონში ცვლილებებს.</p>	<p>ცვლილებები ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებულ კანონში საჭიროებს უფრო მეტ განხილვას; „ქართული ოცნებას“ საჭიროება კონკრეტული გეგმების დასახვა, თუ როგორ მიუდგეს ოკუპირებული ტერიტორიების საკითხს; მზარდი მტრული საგარეო ვითარება წარმოადგენს ყველაზე დიდ გამოწვევას „ქართული ოცნებისათვის“.</p>
<p>დემოკრატია და ადამიანის უფლებები</p>	<p>საკონსტიტუციო ცვლილებები; მედია პლურალიზმი; დემოკრატიული კონსოლიდაცია.</p>	<p>საკონსტიტუციო კომისია; საკონსტიტუციო ცვლილებები დაგეგმილია 2017 წლისათვის; ახალი პროსამთავრობო მედია იმპერიის (იმედის, მეგსტროს, GDS) შექმნა.</p>	<p>„ქართული ოცნება“ ნაწილობრივ ერთგულია თავისი წინასაარჩევნო დაპირებების, თუმცა, ზოგიერთი წინასაარჩევნო მიზანი შესაძლოა წინააღმდეგობრივი იყოს: საკონსტიტუციო ცვლილებებმა შესაძლოა დააზარალოს დემოკრატია და არა პირიქით.</p>	<p>პროსამთავრობო არხების გაერთიანებითა და რუსეთის 2-ის წინააღმდეგ უწყვეტი ზეწოლის პირობებში, მედია პლურალიზმი საფრთხის ქვეშაა; „ქართული ოცნების“ პოზიცია საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ მმართველი პარტიის ხელში ძალაუფლების თავმოყრის საშიშროებას წარმოადგენს; „ქართული ოცნება“ უარი უნდა თქვას თავის გეგმებზე, შეცვალოს პრეზიდენტის არჩევის პროცედურები და, ნაცვლად ამისა, ყურადღება დაუთმოს მაკორიტიკული სისტემის რეფორმას საპარლამენტო არჩევნებისთვის.</p>

ბიბლიოგრაფია

1. Agenda.ge. 2016a. “აზიის განვითარების ბანკი საქართველოს 99 მლნ აშშ დოლარის ღირებულების სესხს სთავაზობს.” ნანახია იანვარი 25, 2017. <http://agenda.ge/news/71894/eng>.
2. Agenda.ge. 2016b. “ევროკავშირი საქართველოს რეფორმის მხარდასაჭერად 44 მლნ ევროს გამოუყოფს.” ნანახია იანვარი 25, 2017. <http://agenda.ge/news/72447/eng>.
3. Agenda.ge. 2016c. “საქართველოს ეკონომიკურმა გუნდმა ოთხ-წლიანი განვითარების გეგმა წარმოადგინა.” ნანახია იანვარი 25, 2017. <http://agenda.ge/news/70677/eng>.
4. Agenda.ge. 2016d. “თურქული კომპანია ჰიდროელექტროსადგურ „ხელედულა 3-ში“ 90 მლნ დოლარს დააბანდებს.” ნანახია იანვარი 25, 2017. <http://agenda.ge/news/71845/eng>.
5. Agenda.ge. 2017a. “ისტორიული მიღწევა“, 2017 წლიდან ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობა დაიწყება“. ნანახია იანვარი 25, 2017. <http://agenda.ge/news/66869/eng>.
6. Agenda.ge. 2017b. “ქუვეითის ფონდი აჭარის რეგიონში გზების რეაბილიტაციას დააფინანსებს.” ნანახია იანვარი 25, 2017. <http://agenda.ge/news/73301/eng>.
7. Agenda.ge. 2017c. “რაჭაში ახალი ჰესი აშენდება.” ნანახია იანვარი 25, 2017. <http://agenda.ge/news/73063/eng>.
8. Agenda.ge. 2017d. “აშშ საქართველოს ორი ძირითადი პროექტისათვის 67 მლნ დოლარს გამოუყოფს.” ნანახია იანვარი 25, 2017. <http://agenda.ge/news/70160/eng>.
9. Allnews.ge. 2017. “რომელ მასწავლებლებს გაეზრდებათ ხელფასი 2017 წელს?” ნანახია იანვარი 25, 2017. www.allnews.ge/საზოგადოება/151524-რომელ-მასწავლებლებს-გაეზრდებათ-ხელფასი-2017-წელს.html.
10. ბასილაია, ეკატერინე. 2016. “როგორ კონსტიტუციას მივიღებთ რამდენიმე თვეში?” ნანახია იანვარი 25, 2017. http://resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=31921.
11. Bloomberg. 2017. “დოლარისა და ლარის გაცვლითი კურსი.” ნანახია იანვარი 25, 2017. <https://www.bloomberg.com/quote/USDGEL:CUR>.
12. ბორზელ, ტანია, და ბიძინა ლებანიძე. 2015. “ევროპული სამეზობლო პოლიტიკა გზავჯვარედინზე: წარსულის შეფასება მომავლის შესაქმნელად“, MAXCAP დოკუმენტი (13).
13. Business Caucasus Week. 2016. “ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ლარიზაციის კრიტიკას ეხმიანება“. ნანახია იანვარი 25, 2017. <http://cbw.ge/banking/president-nbg-responds-critics-larization/>.
14. ჩეჩირე, მაიკლ. 2016. “ნატოს მიერ რუსეთის შესაჩერებლად გადადგმული ნაბიჯები ვერ მოაგვარებს საქართველოს განევრიანების დილემას.“ ნანახია იანვარი 25, 2017. <http://www.worldpoliticsreview.com/articles/19325/nato-s-moves-to-deter-russia-won-t-end-georgia-s-membership-limbo>.
15. სვილ ჯორჯია. 2013. “პარლამენტმა საგარეო პოლიტიკის შესახებ ორპარტიული რეზოლუცია მიიღო.“ ნანახია ივნისი 17, 2015. <http://www.civil.ge/eng/article.php?id=25828>.
16. სვილ ჯორჯია. 2016ა. “კორპორატიული შემოსავლის საგადასახადო რეფორმა 2017 წლამდე გადაიდო.“ ნანახია იანვარი 25, 2017. <http://www.civil.ge/eng/article.php?id=29063>.
17. სვილ ჯორჯია. 2016ბ. “ევროკავშირმა და საქართველომ ასოციაციის საბჭოს მე-

- სამე შეხვედრა გამართეს.“ ნანახია იანვარი 25, 2017. <http://civil.ge/eng/article.php?id=29669>.
18. სივილ ჯორჯია. 2016ც. “იმედის ტელევიზია მანქანის წილის შესყიდვის გეგმას ასაჯაროებს.“ ნანახია იანვარი 25, 2017. <http://www.civil.ge/eng/article.php?id=29726>.
 19. სივილ ჯორჯია. 2016დ. “პარლამენტმა საგარეო პოლიტიკის შესახებ რეზოლუცია მიიღო.“ ნანახია იანვარი 25, 2017. <http://www.civil.ge/eng/article.php?id=29737>.
 20. სივილ ჯორჯია. 2016ე. “პარლამენტმა 2017 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა.“ ნანახია იანვარი 25, 2017. <http://www.civil.ge/eng/article.php?id=29695>.
 21. სივილ ჯორჯია. 2017. “საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი ხელმძღვანელი არჩეულია“. ნანახია იანვარი 25, 2017. <http://www.civil.ge/eng/article.php?id=29747>.
 22. CRRC. 2016. “სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი ნდობის დონის ცვლილება საქართველოში.“ ნანახია იანვარი 25, 2017. <http://crrc-caucasus.blogspot.de/2016/06/changes-in-level-of-trust-in-social-and.html>.
 23. Eurasian Daily. 2016. “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ „ოკუპირებული ტერიტორიების“ შესახებ კანონის ლიბერალიზაციის წინააღმდეგ“. ნანახია იანვარი 25, 2017. <https://easaily.com/en/news/2016/11/29/unm-against-liberalizing-georgian-law-on-occupied-territories>.
 24. „ქართული ოცნება.“ 2016. “საარჩევნო პროგრამის მთავარი მიმართულებები, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო.“ ნანახია იანვარი 25, 2017. <http://41.ge/program>.
 25. საქართველოს მთავრობა. 2016ა. “სამთავრობო გეგმა 2016-2020.“ ნანახია იანვარი 25, 2017. <http://gov.ge/program2016/#p=1>.
 26. საქართველოს მთავრობა. 2016ბ. “მსოფლიო ბანკი მიესალმება მთავრობის 4-პუნქტიანი რეფორმის გეგმას.“ ნანახია იანვარი 25, 2017. http://gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=440&info_id=54898.
 27. გურული, ნინა. 2016. ჯ. ლარსონის ინტერვიუ. 2016. თბილისი.
 28. ინტერპრესნიუსი. 2016ა. “ ამერიკასთან ხელი მოეწერა 22.5 მილიონი დოლარის საგრანტო შეთანხმებას.“ ნანახია იანვარი 25, 2017. <http://www.interpressnews.ge/en/politicss/83686-grant-agreements-worth-225-million-dollars-signed-with-us.html?ar=A>.
 29. ინტერპრესნიუსი. 2016ბ. “ლაშა ტულუში: მანქანის, GDS-ისა და იმედის გაერთიანება პოლიტიკური ხასიათისაა“. ნანახია იანვარი 25, 2017. <http://www.interpressnews.ge/en/politicss/83825-lasha-tugushi-combination-of-maestro-tv-gds-and-ime-di-tv-is-of-political-character.html?ar=A>.
 30. Investor.ge. 2016. “ოთხ-პუნქტიანი გეგმა.“ ნანახია იანვარი 25, 2017. http://investor.ge/article_2016_2.php?art=4.
 31. Ipress.ge. 2016ა. “ჯანდაცვის რეფორმის მე-2 ეტაპი იწყება: უფრო მაღალი ხარისხი, უკეთესი მხარდაჭერა ქართულ საზოგადოებას.“ ნანახია იანვარი 25, 2017. <http://agenda.ge/news/71565/eng>.
 32. Ipress.ge. 2016ბ. “საყოველთაო ჯანდაცვის ბიუჯეტი 2017 წელს 90 მილიონი ლარით გაიზრდება.“ ნანახია იანვარი 25, 2017. <http://www.ipress.ge/new/53159-2017-tsels-sayoveltao-jandacvis-biujeti-90-milioni-larit-gaizrdeba>.
 33. Ipress.ge. 2017. “სერგეენკო: ზოგიერთმა კლინიკამ პაციენტებს მინიმალური თანხა მოახმარა, ჩვენ ამის ატანას არ ვაპირებთ!“. ნანახია იანვარი 25, 2017. <http://www.ipress.ge/new/57908-davit-sergeenko-rigi-klinikebi-minimalur-tankhebs-iyenebd-nen-pacientebistvis-amas-ar-avitant>.
 34. Jandacva.ge. 2016. “პენსიების შემდგომი ზრდა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე იქნება დამოკიდებული.“ ნანახია იანვარი 25, 2017. <http://jandacva.ge/pensiebis-shemd-gomi-zrda-qveynis-ekonomikur-zrdaze-iqneba-damokidebuli/>.
 35. ჯღარკავა, ზაზა. 2016. “ალტერნატივების ძიება: როგორ შეუძლია სომხეთს რუსეთში

- ტვირთის ტრანსპორტირება და პირიქით? ნანახია იანვარი 25, 2017. <http://georgia-today.ge/news/5467/Seeking-Alternatives%3A-How-Can-Armenia-Transport-Cargo-to-%26-from-Russia%3F>.
36. კაკაჩია, კორნელი, და ბიძინა ლებანიძე. 2016. “საქართველოს გაჭიანურებული ტრანზიტის: სამოქალაქო საზოგადოება, პარტიული პოლიტიკა და დემოკრატიული ტრანსფორმაციის გამოწვევები.” საქართველოს დამოუკიდებლობის 25 წელიწადში. მიღწევები და დაუსრულებელი პროექტები, რედაქტორი - გია ნოდია, 130-62. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა.
 37. კუმარ სენ, აშიშ. 2016. “საქართველოს ევროპული არჩევანი „შეუქცევადია“, განაცხადა საქართველოს პრემიერ მინისტრმა.” ნანახია იანვარი 25, 2017. <http://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/georgia-s-european-choice-irreversible-says-georgian-prime-minister>.
 38. ლებანიძე, ბიძინა. 2014. “რატომ არის ტკბილი ავტორიტარული რეჟიმები? კავშირი, ბერკეტი და დემოკრატიზაცია პოსტსაბჭოთა სამხრეთ კავკასიაში.” სამხრეთ ევროპისა და შავი ზღვის კვლევები 14 (2): 199-218. doi:10.1080/14683857.2014.905040.
 39. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. 2017. “საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი: თავი VI.” ნანახია იანვარი 25, 2017. http://www.mof.ge/images/File/biujetis-kanoni2017/damtkicebuli/TAVI_VI.pdf.
 40. მიტჩელი, ლინკოლნი. 2016. “კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის დაჩქარება.” ნანახია იანვარი 25, 2017. <http://lincolnmitchell.com/georgia-analysis/2016/10/19/m08m1831no97ojvyutcdzqm6st5jb2>.
 41. მორისონი, თეა. 2016ა. “ევროპის საინვესტიციო ბანკი საქართველოსთვის €450 მილიონს გამოყოფს.” ნანახია იანვარი 25, 2017. <http://georgiatoday.ge/news/5368/European-Investment-Bank-Allocates-%E2%82%AC450mln-for-Georgia>.
 42. მორისონი, თეა. 2016ბ. “თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში ამერიკა-საქართველოს შორის მემორანდუმი გაფორმდა.” ნანახია იანვარი 25, 2017. <http://georgiatoday.ge/news/5327/Georgia%2C-US-Sign-Security-Framework-Agreement->
 43. ნატო. 2014. “ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრები თანხმდებიან, რომ ალიანსის კარი ღიაა ახალი წევრებისთვის.” ნანახია იანვარი 25, 2017. http://www.nato.int/cps/en/natohq/news_111257.htm.
 44. როიტერი. 2016. “საქართველომ 4-პროცენტის ბიუჯეტის ზრდა განაცხადა, შემოსავლების ზრდა 2017 წლის ბიუჯეტში.” ნანახია იანვარი 25, 2017. <http://www.reuters.com/article/georgia-budget-idUSL5N1E967P>.
 45. თორნტონი, ლორა, და დავით სიჭინავა. 2016. “საზოგადოების განწყობა საქართველოში. 2016 წლის ნოემბრის შედეგები, ჩატარებული NDI-ს დაკვეთით CRRC-საქართველოს მიერ.” ნანახია იანვარი 25, 2017. https://drive.google.com/file/d/0B-4Ga_NfYjme2VVF2UTg1bFFwOGs/view.
 46. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. 2015. “არასამთავრობო ორგანიზაციები საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ გეგმებს ეხმაურებიან.” ნანახია იანვარი 25, 2017. <http://www.transparency.ge/en/node/5453>.
 47. ნურნუშია-ზურაბაშვილი, ანა. 2016. “ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონში ცვლილებების პოლიტიკური ფასი”, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი. პოლიტიკის დოკუმენტი.
 48. UNDP. 2016. “საქართველომ მიიღო პირველი ეროვნული სტრატეგია სოფლის განვითარებისათვის.” <http://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/presscenter/pressreleases/2016/12/30/georgia-adopts-first-national-strategy-for-rural-development-.html>.



ISBN 978-9941-449-71-0



9 789941 449710